ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი

8

# ქართული ენა და ლიტერატურა

## მასწავლებლის წიგნი

სწავლანი

# ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

# ქართული ენა და ლიტერატურა

# VIII

## მასწავლებლის წიგნი

**გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს**

ავტორები: ვახტანგ როდონაია,
ნინო ნაკუდაშვილი,
ავთანდილ არაბული,
მარინე ხუციშვილი,

სწავლანი

თბილისი – 2020

# ქართული ენა და ლიტერატურა
## VIII კლასის მასწავლებლის წიგნი

სწავლანი

ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

© შპს „საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, 2020 წელი. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“
მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39
ტელ.: 2 36 91 85
www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9417-9-5

V. Rodonaia, N. Nakudashvili, A. Arabuli, M. Khucishvili
GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE 8
Teacher’s book
First Edition, 2020
Published by STSAVLANI Publishing

## შ ი ნ ა ა რ ს ი


1. შესავალი ..... 5
2. ქართული ენა და ლიტერატურა.
   საბაზო საფეხურის სტანდარტი ..... 8
3. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო
   გეგმასთან ..... 30

   ა) თემატური საკითხები და მათი კავშირი სასწავლო მიზნებთან;
   ბ) თემის/თემატური ბლოკის შესაბამისი საკვანძო კითხვები,
   გ) თემის/თემატური ბლოკის შესაბამისი ცნებები, დ) მკვიდრი
   წარმოდგენები
4. ენის სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების
   პასუხები ..... 80
5. მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები ..... 95

# შესავალი

VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს კომპლექტი აგებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

კომპლექტი ოთხი ერთეულისაგან შედგება. ესენია: **ქართული ლიტერატურა** — I ნაწილი; **ქართული ლიტერატურა** — II ნაწილი; **ქართული ენა** და **ქართული ენა და ლიტერატურა** — მასწავლებლის წიგნი.

ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკითხავი მასალა შერჩეულია და დაყოფილია თავებად (თემატურ ერთეულებად) ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემატური ბლოკების მიხედვით. თითოეული თავი (თემა), თავის მხრივ, იყოფა პარაგრაფებად (ქვეთემებად), რაც თემის უფრო ფართო კონტექსტში წარმოდგენის საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს თემის ფარგლებში სტანდარტით დაგეგმილი ყველა შედეგის გათვალისწინებას.

საკითხავ მასალად შემოთავაზებულ თითქმის ყველა ტექსტს თან ახლავს ენობრივი სავარჯიშოები, რომელშიც გაშუქებულია ის ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური საკითხები (მართლწერის საკითხებთან ერთად), რის თვალსაჩინო მაგალითებსაც წარმოგვიდგენს შესასწავლი ტექსტი. ეს საკითხები მეორდება პარაგრაფიდან პარაგრაფში და ენობრივი სავარჯიშოების შესრულებისა და ტექსტების დამუშავების კვალდაკვალ მოსწავლეს უვითარებს ენის გრძნობას, სწორი, გამართული ზეპირი და წერითი მეტყველების უნარს. ეს არის ენის ათვისების ბუნებრივი გზა. სახელმძღვანელო გვთავაზობს ენის პრაქტიკულ შესწავლას ენობრივი სავარჯიშოების შესრულების გზით.

სახელმძღვანელო ინტერაქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული. მასში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა მოტივაციას. თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნამდე მიყვანას აღმოჩენის გზით. პარაგრაფები სასწავლო პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილის ფუნქცია ერთგვარად შემამზადებელია და მას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ: „ტექსტის წაკითხვამდე“ (ეს ნაწილი მოიცავს: პარაგრაფის მიზანს, სამოტივაციო კითხვარსა და ლექსიკონს). პარაგრაფის მიზანი მასწავლებელმა ხმამაღლა უნდა წაიკითხოს კლასში, შემდეგ დასვას სამოტივაციო კითხვები. კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ლექსიკონზე მუშაობას. კერძოდ, მათ ეძლევათ დავალება, გადაიკითხონ სიტყვათა განმარტებები, სახლში კი (სპეციალურად განკუთვნილ რვეულში) ამოიწერონ ის სიტყვები, რომლებიც პირველად გაიგეს. ასე შეეჩვევიან მოსწავლეები ლექსიკის გამდიდრებაზე მუშაობას და წლის ბოლოს სოლიდური ლექსიკური მარაგი დაუგროვდებათ.

ამის შემდეგ იწყება ტექსტის კითხვა. რთული ტექსტები (მაგალითად, პუბლიცისტური ტექსტები) და პოეტური ნაწარმოებები, სასურველია, მასწავლებელმა დასაწყისში თავად წაიკითხოს ხმამაღლა. შედარებით იოლი ტექსტები კი მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ჩუმად (ინდივიდუალურად ან წყვილებში). მასწავლებელი ამ დროს აკვირდება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს კითხვის პროცესში.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს ტექსტის გაგებას თანდ-

ართული კითხვარის მეშვეობით. აქედან იწყება პარაგრაფის მესამე ნაწილი: „ტექსტის წაკითხვის შემდეგ“. ტექსტის გაგებაზე ორიენტირებულ კითხვარს მოსდევს სავარჯიშოები და რუბრიკები: „ეს საინტერესოა!“, „დაიმახსოვრეთ!“; ჩარჩოშია ჩასმული ცნებათა განმარტებები და სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

ენობრივი სავარჯიშოები წარმოდგენილია შემდეგი რუბრიკებით: „ლექსიკა და ფრაზეოლოგია“, „გრამატიკა“, „სინტაქსი“, „პუნქტუაცია“, „მართლწერა“.

პარაგრაფს აგვირგვინებს ძირითადად საშინაო დავალებად განკუთვნილი წერითი სამუშაო, რომელსაც ზოგჯერ საკმაოდ ვრცელი ინსტრუქცია ახლავს. ამ ინსტრუქციის დანიშნულებაა, გაუადვილოს მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულება და მისცეს ინსტრუმენტი თვითრეფლექსიისათვის. მასწავლებელს კი შეუძლია ამ ინსტრუქციაზე დაყრდნობით შეიმუშაოს საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოს კომპლექტში შედის **ქართული ენის** ცალკე გამოყოფილი სახელმძღვანელო, რომელიც ენის სტრუქტურის (გრამატიკის) სისტემურ კურსს წარმოგვიდგენს. ამ სახელმძღვანელოში გამთლიანებული, სისტემური სახითაა გადმოცემული ის, რაც მოსწავლეებმა მეხუთე და მეექვსე კლასის სახელმძღვანელოებიდან უკვე იციან და ამჯერად ეს ყველაფერი გაცნობიერებული და უფრო ჩაღრმავებული დაკვირვების საგნად უნდა აქციონ. კერძოდ, ამ სახელმძღვანელოში გაშუქებულია და სისტემაშია მოყვანილი ზმნასთან და ზმნის ფორმაწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები (**არსებით სახელთან, ზედსართავ სახელთან, რიცხვით სახელთან** და **ნაცვალსახელებთან** დაკავშირებული საკითხები VII კლასის სახელმძღვანელოში იყო განხილული, IX კლასში კი მოსწავლეები სინტაქსის სისტემურ კურსს გაეცნობიან).

ენის სახელმძღვანელოც ინტერაქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული და ითვალისწინებს ისეთი მნიშვნელოვანი სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორიცაა **ვარაუდების გამოთქმა, დაკვირვება, დასკვნის გამოტანა**. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ მასწავლებლებს, გვერდი არ აუარონ ინტერაქტივს და არ წავიდნენ მხოლოდ წესების დასწავლისა და სავარჯიშოების შესრულების გზით. თუმცა დასასწავლი წესები სახელმძღვანელოში ნაკლებადაა მოცემული, მოსწავლეებს თავად მოეთხოვებათ მაგალითებსა და თვალსაჩინო სქემებზე დაყრდნობით განსაზღვრონ შესაბამისი წესები ან თავადვე შექმნან სამახსოვრო თვალსაჩინოებები.

ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფები მათი სპეციფიკის გამო დიდი მოცულობისაა და მათი „გაკვეთა“, ანუ გაკვეთილებად დაყოფა, მასწავლებლებისათვის მიგვინდვია , ენის სახელმღვანელოში წარმოდგენილი პარაგრაფები კი ძირითადად ორ 45-წუთიან გაკვეთილზეა გათვლილი.

VIII კლასის ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საბაზო სკოლის საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო ტექსტების (ქართული ლიტერატურის ნიმუშების) გარკვეული ნაწილი, დანარჩენი VII და IX კლასებშია გადანაწილებული.

რაც შეეხება საათების განაწილებას, ჩვენი ვარაუდით, 180 საათიდან საორიენტაციოდ 50 საათი უნდა დაეთმოს ენის სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას, 107 საათი კი ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალის შესწავლას. რჩება 23 საათი, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება საკონტროლოებისა და შემაჯამებელი სამუშაოებისათვის გამოიყენოს.

## აუცილებელი განმარტება ენის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალის თაობაზე

VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს კომპლექტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მოაზრებული ქართული ენის სახელმძღვანელო არსებითად სრულად მოიცავს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც ქართული ზმნის რთული სისტემის ანალიზსა და მნიშვნელობას უკავშირდება. ამავე დროს, აქ მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ყველა ის სიახლე, რომელთა საფუძველზეც ბევრად უფრო მისაწვდომი და აღსაქმელი ხდება ცალკეული ზმნური კატეგორიები და ფორმალური სტრუქტურები.

ობიექტურ გარემოებათა გამო ჩვენი პედაგოგიური საზოგადოება ნაკლებად ადევნებდა თვალს იმ სიახლეებს, რამაც ქართული ენის გრამატიკული აგებულების შესწავლაში იჩინა თავი და რამაც ბევრად უფრო ნათლად წარმოაჩინა ამ სფეროს რთული უბნები. არაერთ ცალკეულ გამოკვლევასთან ერთად, 2016 წელს ცალკე ტომეულებად გამოვიდა აკადემიური კურსი „თანამედროვე ქართული ენა“, რომლის II ტომი ქართული ზმნის სისტემურ ანალიზს დაეთმო. ეს ტომები სპეციალისტებისთვისაც კი ნაკლებ ხელმისაწვდომია იმის გამო, რომ დღევანდელი ტირაჟები მეტად შეზღუდულია (სამიოდე ასეული ეგზ.) და გამოცემაც ლოკალურ აკადემიურ სივრცეს მოიცავს.

ამიტომაც ხაზგასასმელია, რომ ყველა ის პოზიტიური მონაპოვარი, რაც ზმნის კატეგორიების შესწავლისა და მათი მნიშვნელობის უკეთ აღქმისათვის შეიძლება იყოს სასარგებლო, წინამდებარე სახელმძღვანელოში არის გამოყენებული. ასეთებია, მაგალითად: გარდამავლობისა და გვარეობრივი კლასიფიკაციის მიმართება; უღლების ტიპებად დაყოფა; ვნებითი გვარის ფორმათა შინაარსის პრობლემა; ე.წ. უგვარო ზმნათა ნაკლული ფორმაწარმოება; ქცევის კატეგორიზაცია სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა თვალსაზრისით; მიმღეობათა მორფოსემანტიკური კლასიფიკაცია და მისთ.

## გვარის კატეგორიის გაგებასთან დაკავშირებით

სრულიად აშკარაა, რომ ცოდნის ნებისმიერ სფეროში დროთა განმავლობაში საკითხების გაგება იცვლება; მეცნიერების განვითარებას შემოაქვს ახალი მეთოდები და მიდგომები, რაც იწვევს აღსაწერი საგნისა თუ მოვლენის სხვაგვარი კუთხით დანახვის შესაძლებლობას. ახალი თეორიული მონაპოვრები კი ბუნებრივად განაპირობებს ცვლილებებს შესაბამისი საგნის აღწერის, შესწავლისა და სწავლების სფეროებში. ასეა ეს ჰუმანიტარულ სფეროებშიც, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეობისა და გრამატიკის დარგებში. მაგალითად, სანამ სახისმეტყველების ცნება შემოვიდოდა, საკმაოდ დიდმა დრომ განვლო და იმ დროს აგიოგრაფიასაც კი მხატვრული ასახვის რეალისტური კატეგორიებით ხსნიდნენ და ასწავლიდნენ. სანამ აკაკი შანიძე მწკრივის კატეგორიას არ შემოიღებდა, არავინ იცოდა, რომ ზმნის კატეგორიები უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად იყოფოდა და სხვ.

ასეთი ცვლილებები მუდმივად შემოდის გრამატიკის სფეროში. ისინი ხშირად ნაკლებად შესამჩნევია, რადგან პერიფერიულ მოვლენას ასახავს, ზოგჯერ მეტად ჩანს. მაგალითად, აღარავის ახსოვს, როდის და როგორ შემოიტანა ლეო კვაჭაძემ სინტაქსში საურთიერთო მართვის გაგება, რომელიც არნ. ჩიქობავას კოორდინაციის ახალი თეორიით იყო განპირობებული.

ამჯერად შევეხებით ზმნის გვარის კატეგორიისა და, კერძოდ, ე.წ. საშუალი გვარის გაგების საკითხს.

ჯერ ზოგადად:

გრამატიკული კატეგორიის არსებობისათვის აუცილებელია მოვლენის სისტემური აღწერა, ანუ ერთი რიგის ენობრივ მონაცემთა შორის უნდა არსებობდეს, ერთი მხრივ, ფორმალური (მორფოლოგიური) სისტემური მიმართება, ხოლო მეორე მხრივ - შინაარსობრივი განსხვავება. ეს მიმართებები დიდად განსხვავდება სხვადასხვა ენებში და, ამიტომაც, გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ეს ენები სრულიად სხვადასხვაგვარად გამოიყურება. მაგალითისათვის, „საშუალ-„ ცნების გამოყენების განსხვავებული შემთხვევა რომ გავითვალისწინოთ, ავიღოთ სქესის კატეგორიის გაგება სხვადასხვა ენაში. თუ დაუკვირდებით, მისი გაგება დიდად განსხვავდება სხვადასხვა ჯგუფის ენებში. მაგ., ინდოევროპულ ენათაგან გერმანულსა და რუსულს სქესის სამწევროვანი სისტემა აქვს (მამრობითი, მდედრობითი და საშუალო), ფრანგულსა და იტალიურს - ორწევროვანი (მამრ. და მდედრ.), ხოლო კავკასიურ ენებს, მათ შორის - ქართველურს, საერთოდ არა აქვს სქესის კატეგორია. რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ პერველ შემთხვევაში სქესის სამგვარი ფორმალური გამოხატვა არსებობს - გერმანულიში არტიკლით, რუსულში - სახელის დაბოლოებებით, რაც ზმნაშიც აისახება; მეორე შემთხვევაში ასეთი ფორმალური ოპოზიცია ბინარულია - მხოლოდ მამრობითი და მდედრობითი. რაც შეეხება კავკასიურ ენებს, აქ რომ სქესის კატეგორია არ არის გამოყოფილი, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კავკასიელებს სქესის გაგება არა აქვთ? არა, რა თქმა უნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ენებში სქესის გრამატიკული, ფორმალური გამოხატვა არ ხდება.

ასევეა გვარის კატეგორიის გაგება სხვადასხვა ენაში. არის ენები, რომლთა გრამატიკული აღწერისას გვარის კატეგორიას ვერ ნახავთ. ენების უმეტესობაში გვარი ორწევროვანია (აქტივი და პასივი); არის ენები, რომლებშიც გვარის მესამე წევრიც შემოდის - მედიუმი. არის ენები, რომელთა გვარის კატეგორიას უკუქცევითი და ურთიერთობითი გვარიც ემატება და ა.შ.

ქართულ ენაში გვარის სამწევროვანი კატეგორია შემოიღო აკაკი შანიძემ, ჯერ ეს აისახა 1930 წლის გრამატიკაში, საბოლოოდ კი დამკვიდრდა 1953 წლის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებით“. როდესაც მეცნიერმა გვარის სისტემაში საშუალი გვარის ცნება ჩართო, ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ზოგი ნიშნის მიხედვით ეს ზმნა მოქმედებითს ჰგავს, ზოგით კი - ვნებითს: ფორმა უმეტესად მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია - ვნებითისა. ამის გამო მას ს ა შ უ ა ლ ს (მედიუმს) ვეძახით“ (& 369). როგორც ვხედავთ, ამ კატეგორიას არა აქვს თავისი დამოუკიდებელი გრამატიკული ნიშანი და მისი გამოყოფა პირობითია (და სხვა ენების გრამატიკების გავლენას წარმოადგენს).

ამიტომაც ქართული ზმნის სისტემური აღწერისას იმთავითვე გვარის ორწევროვან სისტემას წარმოადგენდნენ. მაგალითად, 1950 წელს გამოვიდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი ტომი, რომელსაც უძღვის მეორე დიდი ენათმეცნიერის - არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“ და მასში ქართული ენის დამახასიათებელ თვისებად მხოლოდ მოქმედებითი-ვნებითი გვარის დაპირისპირებაა მიჩნეული (& 40).

ამ დროიდან მოკიდებული ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მომავალ პედაგოგებს ასწავლიდნენ, გვარის გაგების ამ განსხვავევებას აუცილებლად უთითებდნენ და პედაგოგებიც ე.წ. საშუალი გვარის გამოყოფის პირობითობას ყოველთვის აღნიშნავდნენ.

1975 წელს გამოვიდა ბ. ჯორბენაძის სოლიდური მონოგრაფია „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ე.წ. საშუალი გვარის გამოყოფის შეუსაბამობას ეძღვნება ქართული ენის ბუნებასთან.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოკიდებული, ყველა მომავალი პედაგოგი განისწავლებოდა იმ ცოდნითა და შეგნებით, რომ ქართულში გვარი ორწევროვანი სისტემაა და „საშუალი“ ტერმინი ამ სფეროში სტერეოტიპების ძნელად დაძლევის მაგალითად რჩებოდა.

უფრო გვიან ისეთი თეორიაც იქნა შემოღებული, რომელმაც გვარის კატეგორია საერთოდ გამორიცხა ქართული ზმნის გრამატიკული აღწერიდან და მას მიუსადაგა დიათეზის კომპლექსური კატეგორია (დ. მელიქიშვილი).

ხუთიოდე წლის წინ გამოვიდა ქართული ენის მორფოლოგიის აკადემიური კურსი, რომლის მე-2 ტომი ქართულ ზმნას ეძღვნება. ამ ტომში, ცხადია, ასახულია ის თეორიული ასპექტები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რაც გვარის კატეგორიის ორწევროვან ოპოზიციას გულისხმობს: მოქმედებითი (აქტივი) და ვნებითი (პასივი).

მართლაც, გარდამავალი ზმნები და გარდაუვალი ზმნების დიდი ნაწილი ისე უპირისპირდება ერთმანეთს, რომ მათ შორის უშუალო სისტემური კავშირი აშკარაა: გარდამავალი, ანუ მოქმედებითი გვარის ზმნათაგან კონვერსიის გზით უშუალოდ მიიღება შესაბამისი ვნებითი გვარის ზმნა (კონვერსია გულისხმობს მოქმედებითი გვარის სუბიექტის დაკარგვას და პირდაპირი ობიექტის გადაქცევას სუბიექტად (ხატავს იგი სურათს -> იხატება სურათი). ვნებითს ამ „შებრუნებულ“ შინაარსთან ერთად აქვს ფორმალური გამოხატულებაც - როგორც მოგეხსენებათ, ყველა ტიპის ვნებითის აწმყოს საერთო დაბოლოებაა -ებ-ი (ებ-ა - მე-3 პირში). მართალია, ვნებითი გვარის ფორმები ხშირად გამოხატავენ არა „პასიურ“, არამედ აქტიურ შინაარსს (მაგალითად, როდესაც ვნებითის სუბიექტი სულიერი არსებაა: შდრ.: იწერება წერილი; მაგრამ: შვილი უცხოეთიდან იწერება), მაგრამ ამით კონვერსიის ფორმალური მხარე არ იცვლება.

ამდენად, გვარი ქართულში ორწევროვანი სისტემაა: მოქმედებითი და ვნებითი. რაც შეეხება იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან ზმნებს, რომელთაც ე.წ. საშუალი გვარის ზმნების კატეგორიაში აქცევდნენ, როგორც მოგეხსენებათ, მათ არც ფორმალურად და არც შინაარსობრივად არაფერი აქვთ საერთო (გარდაუვალობის გარდა); ამ ზმნათაგან ერთნი (ე.წ. მედიოაქტიურნი) აქტიურ შინაარსს, დინამიკას გამოხატავენ (თამაშობ-ს, ომობ-ს...), მეორენი - სტატიკას (დგა-ს, წევ-ს...), მესამენი კი საერთოდ ცალკე ჯგუფის - სტატიკური ზმნების (ვნებითების) სახელით არიან ცნობილი (აგი-ა, უპყრი-ა...).

ამიტომაც გრამატიკულადაც (თეორიულადაც) სწორია და პედაგოგიურადაც გამართლებულია, თუკი გვარის ორწევროვანი სისტემის გარეთ დარჩენილ მრავალნაირ თავისებურ ზმნებს ვასწავლით ცალკე, რამდენიმე ფორმალურ ჯგუფად, რათა მათი თავისებურება უკეთ იქნეს წარმოჩენილი. ამავე დროს, ჩვენ სახელმძღვანელოში ვტოვებთ მინიშნებას იმაზე, რომ თავისებურ ზმნათა ეს კატეგორია ასახავს ძველი სამწევროვანი სისტემის „საშუალის“ სახელით ცნობილ ზმნებს. ანუ: აკაკი შანიძის თეორიის საფუძველზე განსწავლულთ არ გაუჭირდებათ ადაპტირება იმ მცირე ცვლილებასთან, რაც გვარის კატეგორიის ამ კორექტირებულ სისტემას უკავშირდება.

# ქართული ენა და ლიტერატურა
# საბაზო საფეხურის სტანდარტი

**შესავალი**

საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება;

ე) დანართი.

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს (ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ ლიტერატურას და სხვ.). სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

**ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები**

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები;
- მოსწავლეს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;
- მოსწავლეს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;
- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ტექსტების) შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარები;
- მოსწავლეს გამოუმუშავოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისმცემელი პიროვნების ფორმირებას;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

**ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი**

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგან „ქართული ენისა და ლიტერატურის" ფარგლებში?

**სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ოთხი მიმართულების მიხედვით:**

**ტექსტის გაგება-გაანალიზება** – გულისხმობს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტებში მოცემული ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის გაგებას და მრავალმხრივად გააზრებას (სასწავლო გეგმაში ტერმინი

„ტექსტი“. გამოიყენება ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს როგორც ბეჭდურ, ისე აუდიოვიზუალურ/მულტიმედიურ, აუდიო- და ვიდეოფორმატის ტექსტებს).

**ცოდნისა და იდეების გაზიარება** – ფოკუსირებულია მოსწავლის პროდუცირების უნარებზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლემ, წერილობითი ან ზეპირი ტექსტების სახით, უნდა წარმოადგინოს და გააზიაროს თავისი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ, არგუმენტირებულად იმსჯელოს ნაცნობ თემებზე, საკითხებზე/პრობლემებზე; წარმოაჩინოს ცოდნა, იდეები ან/და ტექსტის გაცნობის შედეგად მიღებული საკუთარი უნიკალური გამოცდილება, ტექსტის მისეული ინტერპრეტაცია, დამოუკიდებლად ჩატარებული სამუშაოს შედეგები.

**ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება** – გულისხმობს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს) ენობრივი საშუალებებისა და ტექსტის სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას.

**სტრატეგიების გამოყენება** – სწავლა-სწავლებისას გრძელდება მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა თუ წერის დროს) კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების შერჩევისა და გააზრებულად გამოყენების უნარი კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას.

**სტანდარტის შინაარსი** განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

**საკითხავი ლიტერატურა** შეთავაზებულია 3 ძირითადი თემატური ბლოკის სახით. თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეული თემატური ბლოკი მოიცავს შესაბამის სასწავლო თემებს, განსაზღვრულს ლიტერატურის უნივერსალური მოტივების (/თემების) გათვალისწინებით. აქვეა წარმოდგენილი ჩამონათვალი სავალდებულო ნაწარმოებებისა, რომლებიც დამუშავდება შეთავაზებული თემატური ბლოკების ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

სწავლა-სწავლების პროცესში სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები ინტეგრირებულად დამუშავდება ყველა კონკრეტულ სასწავლო თემაში.

**ცნებების სახით** განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტში. ეს კონტექსტები ზემოაღნიშნული სავალდებულო თემატური ბლოკების სახითაა წარმოდგენილი.

**მკვიდრი წარმოდგენები** — თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

თითოეულ თემატურ ბლოკს ახლავს შეფასების ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

სწავლა-სწავლების პროცესში სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები ინტეგრირებულად დამუშავდება ყველა კონკრეტულ სასწავლო თემაში.

ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., ქართ. საბ. 1.

**„ქართ.“** - აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“.
**„საბ“** - მიუთითებს საბაზო საფეხურს;
**„1“** - მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

<table>
<tr><td colspan="3">ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)</td></tr>
<tr><td>შედეგების ინდექსი</td><td>მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება</td><td>სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td></tr>
<tr><td></td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td><td rowspan="8">ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1,2,3,5,6,8,9,10,11,12)<br>• მხატვრული ტიპის ტექსტები წარმოადგენს გამონაგონს და შექმნილია წარმოსახვის, ფანტაზიის ძალით, ანდა ასახავს ავტორის შინაგან სამყაროს: გრძნობებს, დამოკიდებულებებს, თვალთახედვას. არამხატვრული ტიპის ტექსტები დაფუძნებულია ფაქტებზე.<br>• მხატვრული ლიტერატურა მოიცავს სხვადასხვა მხატვრულ ჟანრს, არამხატვრული ლიტერატურა — სხვადასხვა არამხატვრულ ჟანრს.<br>• ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).<br>• ავტორები ირჩევენ გარკვეულ ჟანრს კონკრეტული მიზნის შესაბამისად.<br>• ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება ტექსტის სიღრმისეულად გაგება-გააზრებაში.<br>• ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება მეხმარება კონკრეტული მიზნით ტექსტების შედგენა-გაზიარებაში.</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.1.</td><td>ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.2.</td><td>ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.3.</td><td>ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.4.</td><td>ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.</td></tr>
<tr><td colspan="2">მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება</td></tr>
<tr><td></td><td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td></tr>
<tr><td>ქართ.საბ.5.</td><td>ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td>ქართ.საბ.6.</td>
<td>ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე;</td>
<td rowspan="5">კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე (შედეგები 1,2,3,5,6,7,8,11,12)<br><br>ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის ერთობლიობა:<br><br>• ლექსში — თემის, იდეის, მხატვრული საშუალებების, მეტრის, რითმის;<br>• პოემაში — თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, მოქმედების დროისა და ადგილის, პერსონაჟთა სახეების, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების, მეტრისა და რითმის.<br>• მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში — თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟთა სახეების, მოქმედების დროისა და ადგილის, ხედვის კუთხის, ჩანართი ეპიზოდების, მხატვრული საშუალებების.<br>• არამხატვრულ ტექსტებში — იდეების/საკითხების, ხედვის კუთხის.<br>• ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი ელემენტები გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობაზე/ფასეულობაზე.<br>• ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, ეფექტიანი ტექსტების შედგენაში.<br><br>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგები 1,8,9,10,11,12)<br><br>• ყველა ტექსტს აქვს გარკვეული სტრუქტურა. სტრუქტურის შემადგენელი ელემენტები შეიძლება იყოს როგორც სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, რუბრიკა, აბზაცი), ისე არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, ლოგო, სქემა).</td>
</tr>
<tr>
<td>ქართ.საბ.7.</td>
<td>საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;</td>
</tr>
<tr>
<td>ქართ.საბ.8.</td>
<td>სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება</td>
</tr>
<tr>
<td>ქართ.საბ.9.</td>
<td>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br><br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს);</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td>ქართ.საბ.10.</td>
<td>სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).</td>
<td>
• ავტორები იყენებენ სტრუქტურულ ელემენტებს იდეებისა და ინფორმაციის ორგანიზებისთვის. ტექსტის ცალკეული ეპიზოდების/მნიშვნელოვანი ნაწილების გამოკვეთისთვის.<br>
• არამხატვრულ ტექსტებს შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა ორგანიზაციული ყალიბი (მაგ., ქრონოლოგიური, მიზეზი-შედეგი, პრობლემა-პრობლემის გადაჭრა, მსგავსება-განსხვავება, ყველაზე მნიშვნელოვანი-ნაკლებად მნიშვნელოვანი).<br>
• სტრუქტურული ელემენტების ან/და ორგანიზაციული ყალიბის ცოდნის გამოყენება მეხმარება ტექსტის შინაარსის უკეთ გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.
</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება<br><br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td>
<td rowspan="2">
ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (შედეგები: 1,2,3,8,9,10,11)<br>
• მწერლები გვიზიარებენ თავიანთ გრძნობებს, გამოცდილებას, დამოკიდებულებებსა და მოსაზრებებს ოსტატურად შერჩეული სიტყვების, ფრაზების, სტილისა და ფორმატის გამოყენებით.<br>
• ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობაზე, ფასეულობაზე.<br>
• მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისათვის, რომ მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი, შეუქმნან გარკვეული განწყობა.<br>
• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების უკეთ გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.<br><br>
კონტექსტი (შედეგები: 1.2.3.4.11.12)<br>
• ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი — ფონი ან გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები.
</td>
</tr>
<tr>
<td>ქართ.საბ.11.<br><br>ქართ.საბ.12.</td>
<td>ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;<br><br>სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.</td>
</tr>
</table>

- კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ., ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურა, რომელშიც თხზულება შეიქმნა.
- კონტექსტი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ისტორიული, კულტურული.
- კონტექსტის ცოდნა დამეხმარება ტექსტის უკეთ გაგებაში, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გააზრებაში.

**მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)** (შედეგები: 1,2,3,6,11,12)

- ინტერტექსტობრივი მიმართებები გულისხმობს, რომ ერთ რომელიმე ტექსტში შეიძლება მოხმობილი ან გამოყენებული იყოს სხვა კონკრეტული ტექსტი/ტექსტები.
- ინტერტექსტობრივი მიმართებები გამოკვეთს მჭიდრო კავშირს ტექსტებს შორის და წარმოაჩენს, რა ზეგავლენა მოახდინა ერთმა ტექსტმა მეორეზე.
- ერთი ტექსტის მეორეზე ზეგავლენა შეიძლება გამოიხატებოდეს:
  - კონკრეტული ტექსტის ენის/ენობრივი ფორმულების გამოყენებას მეორე ტექსტში;
  - კონკრეტული ტექსტიდან მოხმობილი ციტატების ჩართვას მეორე ტექსტში;
  - კონკრეტული ტექსტის რეალიების — სიუჟეტის, პერსონაჟების — „გამოყენებას“ მეორე ტექსტში.
- ინტერტექსტობრივი მიმართებების გამოკვლევა წარმოაჩენს ახალ კონტექსტებს, რაც დამეხმარება ტექსტის მნიშვნელობის, იდეების, თემების, პერსპექტივების უფრო ღრმად/მრავალმხრივად გააზრებაში, შესასწავლი ტექსტის ახლებურ ინტერპრეტირებაში.

**ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)**
(შედეგები: 8,11,12)

- კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინფორმაციის გამცემსა და მიმღებს შორის.
- საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, კომუნიკაციის მინაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს).
- სიტუაციური ფაქტორები ზეგავლენას ახდენს კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე.
- სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება დამეხმარება წარმატებული და ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში.

**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა**
(შედეგები: 1,2,3,7,8,11,12)

- ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის მნიშვნელობის ახსნას, ანდა მის წარმოჩენას ახალი სახით, ფორმით/კუთხით.
- ინტერპრეტაციის დროს უნდა დავეყრდნო ტექსტში მოცემულ მინიშნებებს, დავიხმარო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.
- ინტერპრეტაციის შედეგად შემიძლია ჩავწვდე ავტორის აზრებს, უფრო სიღრმისეულად გავიგო ტექსტი.
- პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, ტექსტის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში.

**გრამატიკა** (შედეგები: 1,2,4,8,9,11,12)

- გრამატიკის ნორმების ცოდნის გამოყენება მეხმარება ტექსტის უკეთ გაგებაში, წარმატებული კომუნიკაციის დამყარებაში (ზეპირად და წერილობით).

| | |
|---|---|
| | • მორფოლოგიის ცოდნა მეხმარება სიტყვების ფორმებისა და მათი ცვალებადობის გაგებაში, სინტაქსის ცოდნა — სიტყვების წინადადებებად შეწყობა-შეკავშირებაში.<br><br>**სტრატეგიები** (შედეგები: 11,12)<br><br>• მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა სხვადასხვა ეტაპს მოიცავს.<br>• მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის მიზნის მისაღწევად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო თითოეული მათგანის ცალკეული ეტაპის შესაბამისი ხერხები, ანუ სტრატეგიები.<br>• სწავლის პროცესზე დაკვირვება, გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება დამეხმარება სიძნელეების გადალახვასა და წინსვლაში. |

ცნებები და საკითხები

ტექსტი

◊ **ტიპები – მხატვრული, არამხატვრული**

◊ **ჟანრები**

- მხატვრული: მოთხრობა, ნოველა, იგავი, მითი, ზღაპარი, ლეგენდა, ლექსი, პოემა.
- არამხატვრული: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი; ისტორიული წყარო; ესე; პუბლიცისტური წერილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული მასალა (მაგ., საინფორმაციო ქრონიკა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, სტატია, რეკლამა); მემუარული პროზა; ბიოგრაფიული/ ავტობიოგრაფიული ტექსტი; პირადი/არაფორმალური წერილი; საჯარო გამოსვლა, ინსტრუქცია; ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტები (მაგ., განცხადება, რეზიუმე/CV, ავტობიოგრაფია, ფორმალური წერილი).

◊ **კომპოზიციური ელემენტები** – თემა, ქვეთემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; თხრობა, აღწერა; პერსონაჟები; დიალოგი; ავტორისეული დახასიათება; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის); ლირიკული გადახვევა; მორალი/შეგონება (იგავის); სიუჟეტი და მისი განვითარების საფეხურები; კონფლიქტი; რითმა, მეტრი, სტროფი, ტაეპი.

◊ **სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები** – სათაური; თავი; რუბრიკა; აბზაცი; მიმართვა; ხელმოწერა; არავერბალური ელემენტები (ილუსტრაცია, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა და ზომა).

**კონტექსტი** – ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი; ეპოქის ზოგადი კონტექსტი (მაგ., რეალიები, ფასეულობები, ცოდნის დონე); ავტორის ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება (მაგ., შეხედულებები, დამოკიდებულებები).

**მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)** – ალუზია; ციტირება.

**ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)** – კომუნიკაციის ადგილი; კომუნიკაციის მიზანი; ავტორი; აუდიტორია, მკითხველი; მონაწილეები (დისკუსიის, დებატების); არავერბალური მეტყველება (მაგ., სხეულის ენა, ხმის ძალა, ინტონაცია).

**ინტერპრეტაცია** — ჟანრი; თემა, ქვეთემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ლექსიკა, სტილი, მხატვრული ხერხები, რიტორიკული ხერხები)**

- ლექსიკა, სტილი – ომონიმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, არქაიზმი, ნეოლოგიზმი; ფრაზეოლოგიზმი; აფორიზმი; სიტყვაწარმოება; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სტილისტური ხარვეზი (ტავტოლოგია, კალკი, პარონიმები); სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო);
- მხატვრული სტილის ენობრივი ფიგურები – ტროპები (ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, მეტაფორა, ალიტერაცია, ალეგორია, ირონია).
- რიტორიკის ელემენტები – თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, განმეორება; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია).

სტრატეგიები

- **ზეპირმეტყველების (ლაპარაკის, მოსმენის) სტრატეგიები** (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა, წინარე ცოდნის მობილიზება, რეპეტიციის გავლა, პარაფრაზირება; წინასწარი ვარაუდების გამოთქმა, დამაზუსტებელი კითხვების დასმა, ჩანაწერების კეთება).
- **კითხვის სტრატეგიები** (მაგ., წინარე ცოდნის გააქტიურება, დაკავშირება, ვარაუდების გამოთქმა, წაკითხულის ვიზუალიზაცია, შეჯამება, შეკითხვების დასმა, ხელახლა წაკითხვა, დაჯგუფება- დახარისხება, კონტექსტზე დაყრდნობით/ლექსიკონის გამოყენებით სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა-დადგენა).
- **წერის სტრატეგიები** (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა; იდეების გენერირება; იდეების დაჯგუფება; ცოდნის მობილიზება; გეგმის შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და წარდგენა-გაზიარება).
- **მეტაკოგნიტური სტრატეგიები** (მაგ., აქტივობის/დავალების ღირებულების გააზრება; დაფიქრება სწავლის პროცესზე, წინსვლა-განვითარების

შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება, სწავლის პროცესის დაგეგმვა).

**მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა.**

**ქართული ენის ისტორია:** მსოფლიოს ენათა ოჯახები; ქართული ენა, ქართულის მონათესავე ენები, ქართული ენის დიალექტები; ქართული სალიტერატურო ენა, ქართული დამწერლობა (ანბანი).

**ქართული მწერლობის დარგები:** საერო და სასულიერო ლიტერატურა.

**გრამატიკის საკითხები**

*მორფოლოგია*

**ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:**

- სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.
- ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.
- სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა).

**ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:**
- ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);
- თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული);
- კავშირი და მისი ჯგუფები;
- ნაწილაკი და მისი ჯგუფები;
- შორისდებული და მისი ჯგუფები.

*სინტაქსი*
- სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები – შეთანხმება, მართვა, მირთვა;
- **წინადადების წევრები:** მთავარი და არამთავარი წევრები;
- **წინადადება:** წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია.

საკითხავი ლიტერატურა

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საკითხავი ლიტერატურის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ქართული მწერლობა. მათგან ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები – ქართული მწერლობის კლასიკოსთა დროში გამოცდილი თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს (სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალი იხ. თემატური ბლოკების ქვემოთ).

სწავლა-სწავლების პროცესში, ამა თუ იმ თემატური ბლოკის ან/და სასწავლო თემის ფარგლებში, სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც – მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

| I თემატური ბლოკი<br>ადამიანი და მისი ცხოვრება | II თემატური ბლოკი<br>სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება | III თემატური ბლოკი<br>მარადიული ძიებები |
|---|---|---|
| **შეფასების ინდიკატორები**<br>**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br>**ტიპი და ჟანრი**<br>კონკრეტული ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნის მიზნის შესაბამისად გამოყენება (შედეგები: 1,2,3,6,8,11,12);<br>სხვადასხვა ტიპის/ჟანრის ტეტსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად გამოყენებული განსხვავებული მიდგომების ამოცნობა (შედეგები: 1,2,3,6,11,12);<br>**კომპოზიცია**<br>კომპოზიციის ელემენტების განსაზღვრა-გაანალიზება, მათ შორის არსებული მიმართებების გააზრება ტექსტის უკეთ გაგების მიზნით (შედეგები: 1,2,3,11,12);<br>ტექსტების შედგენისას კომპოზიციის ელემენტების ცოდნის გამოყენება კონკრეტული მიზნით (შედეგები: 1,2,3,8,11,12).<br>**სტრუქტურა, ორგანიზება**<br>სტრუქტურის შემადგენელი სიტყვიერი (მაგ., სათაურის, ქვესათაურის, რუბრიკის, აბზაცის) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაციის, სქემის) ელემენტების ფუნქციის ამოცნობა, მათი ურთიერთმიმართების გააზრება (შედეგები: 1,2,3,10,11,12);<br>ტექსტის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ელემენტებს შორის არსებული მიმარ-თებების ამოცნობა, მათი გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში (მაგ., სათაური, ტექსტი, წამყვანი აბზაცი, დამხმარე აბზაცები) (შედეგები: 1,2,3,10,11,12); | | |

**ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა**

თხზულების (/ცალკეული ადგილის, ეპიზოდის, ფრაგმენტის) მნიშვნელობის ახსნა (შედეგები: 1,2,3,5,8,11,12);
თხზულების (/ცალკეული ადგილის, ეპიზიდის, ფრაგმენტის) წარმოდგენა განსხვავებული სახით/ფორმით/კუთხით (შედეგები: 1,2,3,5,8,11,12);
იმის გააზრება, თუ რამდენად/როგორ შეიცვლება ნაწარმოები სხვადასხვა ფაქტორის (მაგ., დროითი, სივრცული, მთხრობელის) ცვლილების შედეგად (შედეგები: 5,8,9,10,11,12);
ტექსტის სხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობის გააზრება (შედეგები: 1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტში ასახული განსხვავებული თვალსაზრისების შეფასება (შედეგები: 1,2,3,7,8,9,10,11,12);
ტექსტის შეფასება თანამედროვეობის პოზიციიდან (შედეგები: 4,6,7,8,11,12);
ტექსტში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტის წამოყენება (შედეგები: 1,2,3,5,8,11,12);
საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტში ასახული თემის, იდეის, პრობლემის მიმართ (შედეგები: 1,2,3,5,8,11,12).

**კონტექსტი**

სპეციფიკური დრო-სივრცული მახასიათებლების ამოცნობა, მათი გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში (შედეგები: 1,2,3);
ტექსტსა და კონტექსტს შორის არსებული მიმართებების გააზრება; მსჯელობა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს კონკრეტული კონტექსტური ფაქტორი ტექსტზე (შედეგები: 1,2,3,4,11,12).

**ინტერტექსტობრივი მიმართებები**

ძირიათადი და მოხმობილი ტექსტების შინაარსის, იდეებისა და მოსაზრებების შედარება და იმის ამოცნობა, თუ რით ავსებს ან რით ეწინააღმდეგება ეს ტექსტები ერთმანეთს (შედეგები: 1,2,3,6,11,12);
საუბარი იმაზე, თუ რამდენად შეიცვალა ძირითად ტექსტზე მისი წარმოდგენა ინტერტექსტის გაცნობით და რატომ, რა ახალი დეტალებით შეივსო მისი ცოდნა და ა.შ. (შედეგები: 1,2,3,6,11,12).

**ენა, გრამატიკა**

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება კონკრეტული მიზნით (შედეგები: 1,2,8,9,11,12);
გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნის ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის გაანალიზების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის (შედეგები: 1,2,4,8,9,11,12);
მეტყველების ტიპების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (შედეგები: 1,2,8,9,11,12).

**სტრატეგიები**

ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის, ასევე სწავლის სწავლის ნაცნობი სტრატეგიების ადეკვატურად შერჩევა-გამოყენება სტანდარტით განსაზღვრული ტიპისა და ჟანრის ტექსტების გაცნობის და შედგენა-გააზრების დროს (მაგ., ანალიზის შედეგების წარმოჩენის, თვითგამოხატვის, ინფორმაციის მოწოდების, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, გამოცდილების გაზიარების) (შედეგები: 8,11,12).

## ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

I თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება

ადამიანის ცხოვრების გზა *(მაგ., ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიანთან)*, ადამიანის შინაგანი სამყარო *(მაგ., ემოციები, გრძნობები, განცდები, ოცნებები; წარმოსახვა-ფანტაზია);*

საზოგადოებაში თანაცხოვრება *(მაგ., ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოების ზეგავლენა ადამიანზე, ადამიანის ზეგავლენა საზოგადოებაზე).*

II თემატური ბლოკი – სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

მშობლიური სამყარო *(მაგ., მშობლიური ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი; ენა, კულტურა, ტრადიციები; მშობლიური ქვეყნის მრავალფეროვნება);*

ბუნებასთან ურთიერთობა *(მაგ., ბუნების მშვენიერება, ჰარმონიულობა; წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები; ზრუნვა ბუნებაზე/გარემოზე თანამედროვე ეპოქაში);*

ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება *(მაგ., ახლის/სიახლის აღმოჩენის გზები, ახლის ნახვით/აღმოჩენით მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ურთიერთმიმართება ახალსა და ნაცნობს/ჩვეულს შორის).*

III თემატური ბლოკი – მარადიული ძიებები

სიკეთე და ბოროტება *(მაგ., სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, ადამიანის ნების როლი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში);*

ცხოვრების საზრისი *(მაგ., ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანური პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება).*

სავალდებულო ნაწარმოებები

1. იაკობ ცურტაველი – „შუშანიკის წამება“;
2. ლეონტი მროველი – „ცხორებაი და მოქალაქობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“. მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება (ადაპტირებული სახით);
3. შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“: დასაწყისიდან „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; დასასრული;
4. სულხან-საბა ორბელიანი – „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“. ცალკეული იგავები, შერჩეული სამი ძირითადი თემატური ბლოკის გათვალისწინებით (ადაპტირებული სახით);
5. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“. 3 თავი (ლეკთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა) (მითითებული სახით);
6. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ბედი ქართლისა“. „ფიქრნი მტკვრის პირას“;
7. ილია ჭავჭავაძე – „ბაზალეთის ტბა“. „სარჩობელაზედ“. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (მითითებული სახით), „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ (მითითებული სახით);
8. აკაკი წერეთელი – „განთიადი“. „თორნიკე ერისთავი“. „ბაში-აჩუკი“.
9. ვაჟა-ფშაველა – „ჩემი ვედრება“. „კაი ყმა“. „ხმელი წიფელი“.
10. მიხეილ ჯავახიშვილი – „ეშმაკის ქვა“.

11. გალაკტიონ ტაბიძე – „ქარი ქრის“. „გაგონდება თუ არა“. „წამყე ბეთანიისაკენ“. „მამული“.
12. კონსტანტინე გამსახურდია – „მთვარის მოტაცება“. ფრაგმენტი (მითითებული სახით);
13. კოლაუ ნადირაძე – „25 თებერვალი“.
14. ანა კალანდაძე – „ვაჟაო, დილის მზის სხივო...“.
15. ჭაბუა ამირეჯიბი – „დათა თუთაშხია“. მოსე ზამთარაძის ნაამბობი.

**საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები:**

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებსა და საკითხებს აკავშირებს შედეგებთან:

- რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? (/როგორ მოქმედებენ კარგი მკითხველები, როდესაც არ ესმით ტექსტი?)
- რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის ტიპის და ჟანრის განსაზღვრა? რატომ არის ეს ტექსტი მოთხრობა (/პოემა, იგავი, პირადი წერილი და ა.შ.)? როგორ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა ტექსტების კითხვისა და შედგენის დროს?
- რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს?
- როგორ წარმოვაჩინო ტექსტის თემისა და მთავარი იდეის გაგება?
- როგორ წარმოვაჩინო ტექსტის სხვადასხვა ნაწილს, ტექსტსა და ტექსტს შორის არსებული მიმართებების გაგება?
- რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს მისი სიტყვები, აზრები, დამოკიდებულებები, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან? რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს სხვა პერსონაჟის მოსაზრებები მის შესახებ, დამოკიდებულებები მის მიმართ? რამდენად და როგორ ახასიათებს პერსონაჟს ავტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია (მაგ., პერსონაჟის გარეგნობის, საცხოვრებლის აღწერა, ავტორისეული დახასიათება)?
- რამდენად და როგორ მეხმარება ნაწარმოების სტრუქტურა ტექსტის გაგება-გააზრებაში?
- როგორ/რა საშუალებებით ცდილობს ავტორი მკითხველზე ზემოქმედებას, აზრის გამოხატვას, პოზიციის დასაბუთებას? რამდენად ეფექტურია მისი მცდელობები?
- რამდენად და როგორ მეხმარება ჩემი წინარე ცოდნა და გამოცდილება ტექსტის გაგებაში, მის ინტერპრეტაცია-შეფასებაში?
- რატომაა მნიშვნელოვანი ტექსტის კონტექსტის ცოდნა?/ რამდენად მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმეობის უკეთ გაგებაში (/რას ამბობს ნაწარმოები კონკრეტულ ეპოქაზე, ავტორზე)?
- როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული მასალა/ინფორმაცია ინტერპრეტაციის, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის ან/და შეფასების მიზნით?
- რითია ეს ტექსტი გამორჩეული, უნიკალური (/რით გამოირჩევა ეს ტექსტი

რატომაა მნიშვნელოვანი ინტერტექსტობრივი მიმართებების განსაზღვრა? როგორ შევძლებ მათ განსაზღვრას?

- რამდენად/როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალური სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის შემეცნებაში, სხვა ტექსტის (წიგნის, ფილმის) გაგებაში? / რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის?
- რამდენად და როგორ მეხმარება ენობრივ-გრამატიკული ნორმების ცოდნა კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის დროს?
- რატომაა მნიშვნელოვანი ლექსიკის მარაგის გამდიდრება?
- როგორ დავამყარო წარმატებული კომუნიკაცია? (/რა განსაზღვრავს კომუნიკაციის წარმატება-წარუმატებლობას)?

**გ) მეთოდიკური ორიენტირები**

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას;

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას;

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას);

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკ-ლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

| | |
|---|---|
| პასუხისმგებლობა | • სასკოლო საქმიანობაში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება;<br>• სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;<br>• საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება. |
| თანამშრომლობა | • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს;<br>• მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ლიდერის);<br>• განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა;<br>• რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. |

| | |
|---|---|
| დროსა და სივრცეში ორიენტირება | • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება;<br>• მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით. |
| ეთიკა | • ეთიკური ნორმების დაცვა;<br>• სოლიდარობის განცდა;<br>• ემპათია;<br>• განსხვავებულობის მიმღებლობა;<br>• საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება. |
| ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება | • ქსელური ძიება;<br>• სხვადასხვა ტიპისა და ფორმატის ელექტრონული ტექსტების შექმნა (მაგ., სლაიდშოუს, პაუერპოინტის პრეზენტაციის);<br>• ელექტრონული ტექსტების დამუშავება, ელექტრონული წიგნებისა და აუდიოწიგნების გამოყენება;<br>• პერსონაჟის ფეისბუქი/ფეისბუქ-პროფილი;<br>• მკითხველის ფორუმი, წიგნის/ნაწარმოების ბლოგი. |
| კვლევა | • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა;<br>• კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ორგანიზება;<br>• მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება;<br>• კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა. |
| შემოქმედებითი აზროვნება | • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;<br>• ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა;<br>• დასმული პრობლემის გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება. |

## წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს – თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

**სასწავლო თემა**
სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

ცნებები, ტექსტები, საკითხები
ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.

**საკვანძო შეკითხვები**
თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

**აქტივობები**
მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

**კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი**
კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

**შეფასების ინდიკატორები**
შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

**მკვიდრი წარმოდგენები**
მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

**როგორ აიგება სასწავლო თემა?**

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება **საკვანძო შეკითხვები** და **შეფასების**

**ინდიკატორები**, შეირჩევა ტექსტები, შემუშავდება **იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის**. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებათა ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

| |
|---|
| ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა |
| ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა |
| ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა |
| ნაბიჯი 4. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა |
| ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება |
| ნაბიჯი 6. საკითხების განსაზღვრა |
| ნაბიჯი 7. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა |

თემატური ერთეულების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- შერჩეული მასალა უნდა შეესატყვისებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და შესაძლებლობებს;
- ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებების გარდა, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალი ხარისხის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ასახავს მათთვის ნაცნობ რეალიებს, პრობლემატიკას; თანამედროვე ადამიანის შინაგან სამყაროს, ფიქრებს, დამოკიდებულებებს, ოცნებებსა და მისწრაფებებს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ უკეთ გაიაზრონ თანამედროვე სამყარო, იპოვონ პასუხები მათთვის აქტუალურ და არსებით შეკითხვებზე, დასახონ პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმეცნონ საკუთარი თავი და დაიმკვიდრონ ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა კი ნოყიერ ნიადაგს შექმნის მსჯელობისთვის და დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ სიღრმისეულად გაიაზრონ საგნობრივი ცნებები და საკითხები შეთავაზებული კონტექსტების (თემების) ფარგლებში.
- ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით). ეს გააფართოებს მოსწავლეთა კულტურულ ჰორიზონტს და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას ინტერკულტურული კუთხით.
- ენობრივ-გრამატიკული ცნებებისა და საკითხების სწავლება არ გულისხმობს

გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს ნასწავლის სინთეზირება და ფუნქციურად გამოყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს). ამდენად, მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ენობრივი ცოდნა განსხვავებულ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენის გზით.

- საკითხავი მასალის რაოდენობა უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მისი (მასალის) საფუძვლიანად დამუშავებისა და გააზრებისათვის.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

**სტრატეგიების მოდელირება**: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს" იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა, მაგ., სურათები? სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ).

**წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე** – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.) და სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

**შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე** – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებსა და ქმედობაუნარიანობას.

**დ) შეფასება**

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას.

### შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

განმსაზღვრელი შემაჯამებელი დავალება ინტეგრირებულად ამოწმებს/აფასებს ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლებისას შეძენილ ცოდნასა თუ უნარებს.

### ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

შემაჯამებელი დავალებების სახით, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ კომპლექსური სახის აქტივობები. ყოველი სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ, სულ მცირე, ერთი შემაჯამებელი კომპლექსური დავალება.

კომპლექსურ დავალებებს მიეკუთვნება:

- დისკუსია;
- დებატები;
- ლიტერატურული სამსჯავრო, ლიტერატურული სალონი;
- პრეზენტაცია, ზეპირი მოხსენება/ზეპირი გამოსვლა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;
- ნაწარმოების ინსცენირება;
- ანალიტიკური წერითი ნამუშევრები (მაგ., ტექსტის ანალიზი; ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი, პერსონაჟის დახასიათება, პერსონაჟების შედარებითი დახასიათება);
- თხრობითი ტექსტის შედგენა (რეალურ ან/და წარმოსახვით გამოცდილებაზე);
- დამარწმუნებელი ტექსტების შედგენა (არგუმენტირებული ესე, სარეკლამო, სარეკლამო-საინფორმაციო ტექსტი, წერილი რედაქციას, რედაქტორს);
- ახსნა-განმარტებითი/საინფორმაციო ტექსტის შედგენა;

- პროექტი / კვლევა (თემაზე, ტექსტის იდეაზე, კონკრეტულ პრობლემაზე/საკითხზე);
- წერილობითი რეზიუმეს შედგენა (ნაცნობი ტექსტის);
- ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წინარე ისტორიის აღდგენა, ტექსტის გადაწერა სხვა ჟანრში;
- წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ;
- წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან;
- ანოტაციის, რეკომენდაციის შედგენა (მაგ., წიგნის, ფილმის);
- წერილობითი ტექსტების შედგენა თვითგამოხატვის მიზნით (მაგ., ჩანახატი, ნოველა, პირადი გამოხმაურება/შთაბეჭდილება);
- ალტერნატიული ფორმის ტექსტების შედგენა თვითგამოხატვისთვის, პირადი დამოკიდებულების წარმოჩენისთვის (მაგ., ნახატი, პოსტერი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი შესწავლილი ტექსტების საფუძველზე) და მისთ.

**მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება**

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკის შედგენისას გამოიყენება: თემის შეფასების ინდიკატორები, კრიტერიუმები, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი პრიორიტეტები (იხ. ცხრილი);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

**ნიმუში. შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში**

**დავალების პირობა:**

გაეცანით მოცემულ თვალსაზრისს და მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა, რომელშიც:

ა) წარმოადგენთ თქვენს მოსაზრებას ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით;

ბ) მოიყვანთ არგუმენტებსა და მაგალითებს თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად;

გ) გამოიტანთ დასკვნას/დასკვნებს.

ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური დროა 5 წუთი.

| | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|
| **პირობასთან შესაბამისობა** | | |
| იცავს დროის ლიმიტს | 0 – 1 | |
| იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა) | 0 – 0, 5 – 1 | |
| **კომუნიკაციური უნარ-ჩვევები** | | |

| | | |
|---|---|---|
| გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას | 0 – 1- 2 | |
| მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები | 0 – 1- 2 | |
| გამოაქვს ადეკვატური დასკვნა | 0 – 1 | |
| ენობრივი უნარ-ჩვევები | | |
| ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.) | 0-1 | |
| იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ. განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.) | 0 – 1 | |
| შემოქმედებითი უნარ-ჩვევები | | |
| აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები | 0 – 1 | |
| ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10<br>(ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით) | | |

## სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

სახელმძღვანელოს თითოეული თავი არის თემატური ერთეული, რომელიც შეესაბამება ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებულ ამა თუ იმ სასწავლო თემას ერთ-ერთი თემატური ბლოკიდან. სახელმძღვანელოს თავები, ანუ იგივე თემატური ერთეულები, დაგეგმილია და აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

### I ნაწილი
### I თემა

| |
|---|
| **თემატური ერთეულის სახელწოდება: ადამიანი საკუთარი არსის ძიებაში**<br>(სახელმძღვანელოს I თავი).<br>**თემა: ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანური პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება.**<br>(თემატური ბლოკი: III თემატური ბლოკი. მარადიული ძიებები)<br>საათების სავარაუდო რაოდენობა — 15 საათი |
| **თემატური საკვანძო შეკითხვები:**<br>• რას ეფუძნება თითოეული ადამიანის ფასეულობა და ღირსება?<br>• რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა? რა გამოარჩევს ადამიანს ცოცხალი ბუნების სხვა წარმომადგენლებისაგან?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის ფასეულობასა და ღირსებაზე, მის მიერ საკუთარი არსის გააზრებაზე შექმნილი ლიტერატურის გაცნობა? |
| **თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:**<br>**ტექსტის ენა:** ახალი ლექსიკა.<br>**ტექსტის ტიპი და ჟანრი:** მხატვრული ტექსტი — თხრობითი ტექსტი (მოთხრობა); ლირიკული ლექსი. არამხატვრული ტექსტი — ბიოგრაფიული ტექსტი, ავტობიოგრაფიული ტექსტი (მოგონება), საინფორმაციო ტექსტი, დღიური, დისპუტი.<br>კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე: ნაწარმოების დედააზრი, დრო და სივრცე, ლირიკული გმირი, ხედვის კუთხე, პერსონაჟი და მისი შინაგანი სამყარო, დამოკიდებულება სხვა პერსონაჟებთან.<br>**ტექსტის სტრუქტურა:** თავფურცელი, სათაური, ეპიგრაფი, ციტატა, ილუსტრაცია; ტაეპი, მონაკვეთი; ბიოგრაფიული ტექსტის ორგანიზება, დღიურის ორგანიზება.<br>ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები: სიმბოლო, კუთხური ფორმები მხატვრულ ნაწარმოებში.<br>**კონტექსტი:** ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური ფონი, ცხოვრებისეული ფაქტი პოეტური ნაწარმოების შთაგონების წყარო.<br>მიმართებები ტექსტებს შორის: პოეტური ნაწარმოების სავარაუდო ინტერტექსტი, მიმართება ორ ტექსტს შორის.<br>**ტექსტის საკომუნიკაციო მახასიათებლები:** მიზანი და აუდიტორია.<br>**გრამატიკა:** ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება; წინადადებების შეერთება; დიალოგის მართებული ჩაწერა; სხვათა სიტყვის მართლწერა; კუთხური ფორმები მხატვრულ ნაწარმოებში; საკუთარ სახელთა წოდებითი ბრუნვა; მიზეზი და მიზანი: „თვის“ თუ „გამო“? „თხოვნა“ და „მოთხოვნა“; „თანდათან“, მაგრამ „ბოლოს და ბოლოს“.<br>**სტრატეგიები:** მიზანმიმართული კითხვის სტრატეგია (კითხვების დასმა და პასუხების ძიება ტექსტში), კითხვის სტრატეგია (სალექსო ტაეპის პარაფრაზი). |

<table>
<tr><th>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</th><th>I ეტაპის შუალედური მიზნები</th></tr>
<tr><td>იხილეთ „ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდატრტის შედეგები“, გვ. 10-15</td><td>ძირითადი რესურსი/ტექსტი:<br>VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, I ნაწილი<br>I თავი: ადამიანი საკუთარი არსის ძიებაში<br>I ეტაპი<br>§1. მე ვარ ადამიანი<br>ტექსტი:<br>ნიკო ლორთქიფანიძე, „დადიანის ასული და მათხოვარი“.<br>II ეტაპი<br>§2. რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა?<br>ტექსტი:<br>ვაჟა-ფშაველა, „რამ შემქმნა ადამიანად“.<br>III ეტაპი<br>§3. რისთვის იწერება დღიური?<br>ტექსტი:<br>ნარგიზა მგელაძე, „უცნობი ბიჭის დღიური“.</td></tr>
</table>

<table>
<tr><th>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი</th><th>ცნებ(ებ)ის საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები</th></tr>
<tr><td>ახალი ლექსიკა;<br>მხატვრული თხრობითი ტექსტი, არამხატვრული ტექსტი (ბიოგრაფიული ტექსტი);<br>დედააზრი, სათაური, დრო და სივრცე, პერსონაჟი; ბიოგრაფიული ტექსტის ორგანიზება;<br>ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, წინადადებების შეერთება, დიალოგის მართებული ჩაწერა;<br>კითხვის სტრატეგიები.</td><td>• რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო წაკითხული ტექსტი?<br>• როგორ უნდა განვასხვავო ერთმანეთისაგან მხატვრული და არამხატვრული ტექსტები?<br>• როგორ უნდა ამოვიცნო მხატვრული ნაწარმოების დედააზრი, მთავარი სათქმელი?<br>• რამდენად და როგორ დამეხმარა მხატვრული ნაწარმოების სათაური მთავარი სათქმელის ამოცნობაში?<br>• როგორ ახასიათებს მოთხრობის პერსონაჟებს მათი სიტყვები, აზრები, დამოკიდებულებები, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან?<br>• რამდენად დამეხმარა მწერლის მიერ გამოყენებული ლექსიკა ნაწარმოებში ასახული გარემოს წარმოდგენაში?<br>• რამდენად დამეხმარა მწერლის ბიოგრაფია ნაწარმოების სათქმელის უკეთ გააზრებაში?<br>• რა თავისებურებები ახასიათებს ნიკო ლორთქიფანიძის ენას ამ მოთხრობის მიხედვით?</td></tr>
</table>

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** თემის გაცნობა.

წაიკითხეთ თავის (თემატური ერთეულის) სათაური, წაიკითხეთ ეპიგრაფად მოყვანილი ციტატები, იმსჯელეთ, როგორ გესმით ამ ციტატების შინაარსი. გაეცანით ილუსტრაციას და თანდართულ ტექსტს. გადახედეთ თავის სარჩევს.

**აქტივობა 2.** პარაგრაფის სათაურისა და მიზნის გაცნობა. სასტარტო აქტივობები.

გაეცანით პარაგრაფის სათაურსა და მიზანს. უპასუხეთ კითხვებს. დააკვირდით ოგიუსტ როდენის ქანდაკების ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს. გაეცანით ინფორმაციას ბლეზ პასკალის შესახებ (ეს საინტერესოა!), მის ციტატას და იმსჯელეთ, რით ჰგავს ერთმანეთს ბლეზ პასკალისა და ოგიუსტ როდენის შეხედულებები ადამიანზე.

**აქტივობა 3.** ტექსტის წაკითხვა.

წაიკითხეთ ტექსტი.

წაკითხვამდე — გაეცანით ინფორმაციას ნაწარმოების დედააზრისა და დრო-სივრცის შესახებ. გამოთქვით ვარაუდები ნაწარმოების სათაურსა და ქვესათაურზე, წინ დართულ ლექსიკონზე დაყრდნობით და განმარტეთ თქვენი ვარაუდები.

კითხვის დროს — ახალი ლექსიკის დამუშავება (მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტზე დაყრდნობით ან თანდართული ლექსიკონის გამოყენებით). ტექსტთან დაკავშირებული კითხვების დასმა.

წაკითხვის შემდეგ — საუბარი იმაზე, გამართლდა თუ არა წინასწარი ვარაუდები. ინტერაქცია ტექსტზე (დართული კითხვარის დამუშავება).

**აქტივობა 4.** ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა.

იმუშავეთ წყვილებში. გაეცანით სტრუქტურული ელემენტების ჩამონათვალს და გამოყავით მოთხრობისა და ბიოგრაფიული ტექსტის სტრუქტურული ელემენტები.

**კომპლექსური დავალება/დავალებები**

**დავალება 1.** პრეზენტაციის მომზადება მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ.38, დავალება 1.

**შეფასების კრიტერიუმები.**

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;
- წერილობით ტექსტში მოცემული ინფორმაციის ზეპირ საპრეზენტაციო მოხსენების ტექსტად გარდაქმნა;
- ინფორმაციის გასაგებად და ამომწურავად მიწოდება აუდიტორიისათვის;
- შესაბამისი კონტაქტის დამყარება აუდიტორიასთან.

**დავალება 2. ტექსტის გაგრძელება.**

დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 38, დავალება 2.

**შეფასების კრიტერიუმები.**

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტის ინტერპრეტაცია ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მისი მთავარი სათქმელის განსაზღვრა);
- ტექსტის გაგრძელება მოცემულ მინიშნებებზე დაყრდნობით;
- პერსონაჟთა ხასიათის ამოცნობა, მათი შემდგომი ქცევის თაობაზე ვარაუდების გამოთქმით;
- ავტორისათვის დამახასიათებელი ენობრივ-სტილური საშუალებების განსაზღვრა მათი იმიტაციის საშუალებით.

| | |
|---|---|
| განსაზღვრეთ, რომელ ორგანიზაციულ სტრუქტურას ეფუძნება მოცემული ბიოგრაფიული ტექსტები (დეტალური ინსტრუქცია და ტექსტები იხ. სახელმძღვანელოში, I ნაწილი, გვ. 34).<br><br>**აქტივობა 5.** თამაში: „მისწერე წერილი"!<br><br>მისწერეთ წერილი თქვენ გვერდით მჯდომ თანაკლასელს, რომელშიც მის განსაკუთრებულობაზე ისაუბრებთ (ინსტრუქცია იხ. სახელმძღვანელოში, გვ. 36).<br><br>**აქტივობა 6.** მწერლის ლექსიკაზე დაკვირვება.<br><br>ტექსტში ძვირფასი თვლების ფერების დასახელების დროს რაღაც შეცდომაა დაშვებული, მოძებნეთ ეს ადგილი და „გაასწორეთ".<br><br>**აქტივობა 7.** მწერლის ენაზე დაკვირვება.<br><br>დააკვირდით, რა თავისებურება ახასიათებს მწერლის ენას ვითარებითი ბრუნვის გამოყენების თვალსაზრისით. თქვენი დაკვირვების შედეგები წარმოადგინეთ სახელმძღვანელოში მოცემული ცხრილის სახით და მოამზადეთ მინი-პრეზენტაცია: „ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობაში" (სახელმძღვანელო, გვ.36).<br><br>**აქტივობა 8.** მწერლის სტილზე დაკვირვება.<br><br>სახელმძღვანელოს 37-ე გვ-ზე მოცემულ სავარჯიშოებზე დაყრდნობით, ისაუბრეთ, რა თავისებურება ახასიათებს ნიკო ლორთქიფანიძის თხრობის მანერას? (როგორ წინადადებებს იყენებს, რა ფუნქციით ტვირთავს სასვენ ნიშანს დიალოგის დროს?). | **დავალება 3. ხედვის კუთხის შეცვლა თხრობით ნაწარმოებში.**<br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 38, დავალება 3.<br><br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br><br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• ტექსტის ინტერპრეტაცია ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მთხრობელის პოზიციის, ანუ ხედვის კუთხის განსაზღვრა);<br>• ტექსტის მთავარი სათქმელის განსაზღვრა;<br>• ტექსტის სიუჟეტურ-კომპოზიციური სქემის დალაგება (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);<br>• მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა.<br><br>**დავალება 4. წერითი ნამუშევარი.**<br><br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 38, დავალება 4.<br><br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br><br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• ტექსტებში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;<br>• წერილობითი ტექსტის შექმნა მოცემულ გეგმაზე დაყრდნობით;<br>• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის ცოდნის ფუნქციური გამოყენება;<br>• ტექსტის სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციური გამოყენება. |

**რესურსები : VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო,** I ნაწილი

<table>
<tr><th colspan="2">II ეტაპის შუალედური მიზნები</th></tr>
<tr><td>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი<br><br>ახალი ლექსიკა;<br>მხატვრული ტექსტი — ლირიკა;<br>არამხატვრული ტექსტი — ბიოგრაფიული ტექსტი, ავტობიოგრაფიული ტექსტი;<br>თემა, ლირიკული გმირი, ტაეპი;<br>სიმბოლო;<br>პოეტური ნაწარმოების შთაგონების წყარო;<br>პოეტური ნაწარმოების სავარაუდო ინტერტექსტი, მიმართება ორ ტექსტს შორის;<br>მიზანი და აუდიტორია;<br>სხვათა სიტყვის მართლწერა; კუთხური ფორმები მხატვრულ ნაწარმოებში; საკუთარ სახელთა წოდებითი ბრუნვა;<br>მიზეზი და მიზანი: „თვის“ თუ „გამო“?<br>კითხვის სტრატეგია (სალექსო ტაეპის პარაფრაზი).</td>
<td>ცნებ(ებ)ის საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები<br><br>• რა უნდა გავაკეთო, როცა ლექსის ცალკეული ტაეპებიდან აზრის გამოტანა მიჭირს?<br>• რამდენად დამეხმარა მწერლის მიერ გამოყენებული ლექსიკა ნაწარმოებში ასახული გარემოს წარმოდგენაში?<br>• როგორ უნდა გავმიჯნო ერთმანეთისაგან ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ტექსტი?<br>• რა თავისებურებები ახასიათებს ვაჟა-ფშაველას ენას ამ ნაწარმოების მიხედვით?<br>• რამდენად და როგორ დამეხმარა ლირიკული ტექსტის მახასიათებლების ცოდნა ლექსის უკეთ გააზრებაში?<br>• რამდენად დამეხმარა ორი ტექსტის ურთიერთმიმართებების გააზრება ნაწარმოების მთავარი სათქმელის ამოცნობაში?<br>• როგორ უნდა ამოვიცნოთ, სიტყვა სიმბოლური მნიშვნელობითაა ტექსტში გამოყენებული თუ არა?</td></tr>
<tr><td colspan="2">ტექსტები:<br>ვაჟა-ფშაველა, „რამ შემქმნა ადამიანად“;<br>გულქან რაზიკაშვილი, წიგნიდან: „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“ (ნაწყვეტი);<br>ოსა ზურაბიშვილი, წიგნიდან; „კაი ყმა“ (ნაწყვეტი).</td></tr>
<tr><td>აქტივობები:<br><br>აქტივობა 1. პარაგრაფის სათაურისა და მიზნის გაცნობა. სასტარტო აქტივობები.<br>გაეცანით პარაგრაფის სათაურსა და მიზანს. უპასუხეთ კითხვებს. გაეცანით კითხვის სტრატეგიას (რა საჭიროა პერიფრაზი?) და შეასრულეთ შესაბამისი დავალება.</td>
<td>კომპლექსური დავალება/დავალებები<br><br>დავალება. წერითი ნამუშევარი.<br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 50.<br>შეფასების კრიტერიუმები.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2. ტექსტების წაკითხვა („გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი“ და „რამ შემქმნა ადამიანად“).<br>წაიკითხეთ ტექსტი.<br>წაკითხვამდე — გამოთქვით ვარაუდები ნაწარმოების სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით და განმარტეთ თქვენი ვარაუდები.<br>კითხვის დროს — ახალი ლექსიკის დამუშავება (მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტზე დაყრდნობით ან თანდართული ლექსიკონის</td>
<td>• ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;<br>• წერილობითი ტექსტის შექმნა მოცემულ ინსტრუქციაზე დაყრდნობით;<br>• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის ცოდნის ფუნქციური გამოყენება;<br>• ტექსტის სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციური გამოყენება.</td></tr>
</table>

გამოყენებით). ტექსტთან დაკავშირებული კითხვების დასმა.

წაკითხვის შემდეგ — საუბარი იმაზე, გამართლდა თუ არა წინასწარი ვარაუდები. ინტერაქცია ტექსტზე (დართული კითხვარის დამუშავება). საუბარი ორი ტექსტის ურთიერთ-კავშირზე.

**აქტივობა 3.** გამოიყენეთ პერიფრაზირების ხერხი ვაჟას ლექსის ცალკეული, თქვენთვის ბუნდოვანი ტაეპების უკეთ გასაგებად (სახ-ელმძღვანელო, გვ.43).

**აქტივობა 4.** ლირიკა და ლირიკული „მე“.

იმუშავეთ მეწყვილესთან ერთად. წაიკითხეთ თეორიული სტატია: „ლირიკა და ლირიკული მე“ და უპასუხეთ კითხვებს.

(სახელმძღვანელო, გვ.45-46).

**აქტივობა 5.**სახალისო დავალება.

წაიკითხეთ ტექსტი მკითხველისა და ლირიკუ-ლი მეს წარმოსახვითი შეხვედრა-გასაუბრების შესახებ და გაარკვიეთ, რა „დააშავა“ მკითხ-ველმა? (სახელმძღვანელო, გვ.46).

**აქტივობა 6.** ტექსტების ენაზე დაკვირვება.

ა) დააკვირდით, სწორად იყენებს თუ არა გულ-ქან რაზიკაშვილი სხვათა სიტყვის ნაწილაკებს და გაასწორეთ მცდარი ფორმები.

ბ) მოიძიეთ და გაასწორეთ გულქან რაზიკაშვი-ლის ნაამბობში სიტყვათა კუთხური ფორმები.

გ) სწორად გამოიყენება თუ არა ოსა ზურაბიშ-ვილის ნაამბობში საკუთარ სახელთა წოდებითი ბრუნვა?

შეაჯამეთ თქვენი დაკვირვების შედეგები და ისაუბრეთ, რა თავისებურებები ახასიათებს ამ ტექსტების მიხედვით ფშაურ დიალექტს.

**აქტივობა 7.** გადაწყვიტეთ, როგორ დაი-წერება ცალკეული სიტყვები რთულ სიტყვად შეერთების შემთხვევაში (სახელმძღვანელო, გვ.49).

**რესურსები : VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო**

<table>
<tr><th colspan="2">III ეტაპის შუალედური მიზნები</th></tr>
<tr><td>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი<br>ახალი ლექსიკა;<br>მხატვრული ტექსტი — თხრობითი ტექსტი;<br>არამხატვრული ტექსტი — დღიური;<br>დისპუტი და დისკუსია; მსჯელობა.<br>თეზისი (ძირითადი დებულება), დასკვნა.<br>გრამატიკა: „თხოვნა“ და „მოთხოვნა“; „თან-დათან“, მაგრამ „ბოლოს და ბოლოს“.<br>კითხვის სტრატეგიები.</td><td>ცნებ(ებ)ის საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები<br>• რამდენად დამეხმარა დღიურის დამახასიათებელი ნიშნების ცოდნა დღიურის ფორმით წარმოდგენილი მხატვრული ტექსტის უკეთ გაგებაში?<br>• როგორ უნდა გავმიჯნო ერთმანეთისაგან სადიკუსიო და დისპუტისათვის გამოსადეგი თემები?<br>• როგორ უნდა წარვმართო მსჯელობა და დავასაბუთო საკუთარი აზრი?<br>• რამდენად დამეხმარა ინფორმაცია კამათის კულტურის შესახებ კამათში მონაწილეობისას?<br>• დამეხმარა თუ არა მთავარი პერსონაჟის პრობლემებზე დაფიქრება საკუთარი პრობლემების გაცნობიერებაში?<br>• დამეხმარა თუ არა დღიურის ტიპის ტექსტის შექმნა წერილობითი ტექსტის ორგანიზაციული სტრუქტურის უკეთ გააზრებაში?</td></tr>
<tr><td colspan="2">ტექსტები:<br>ნარგიზა მგელაძე, „უცნობი ბიჭის დღიური“.</td></tr>
<tr><td>აქტივობები:<br>აქტივობა 1. პარაგრაფის სათაურისა და მიზნის გაცნობა. სასტარტო აქტივობები.<br>გაეცანით პარაგრაფის სათაურსა და მიზანს. უპასუხეთ კითხვებს.<br>აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა.<br>წაიკითხეთ ტექსტი.<br>წაკითხვამდე — გამოთქვით ვარაუდები</td><td>კომპლექსური დავალება/დავალებები<br>დავალება. წერითი ნამუშევარი.<br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 67.<br>შეფასების კრიტერიუმები.<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</td></tr>
<tr><td>ნაწარმოების სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით და განმარტეთ თქვენი ვარაუდები.<br>კითხვის დროს — ახალი ლექსიკის დამუშავება (მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტზე დაყრდნობით ან თანდართული ლექსიკონის გამოყენებით). ტექსტთან დაკავშირებული კითხვების დასმა.<br>წაკითხვის შემდეგ — საუბარი იმაზე, გამართლდა თუ არა წინასწარი ვარაუდები.</td><td>• დღიურის ტიპის ტექსტის სტრუქტურის გაგება-გააზრება;<br>• წერილობითი ტექსტის შექმნა მოცემულ ინსტრუქციაზე დაყრდნობით;<br>• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის ცოდნის ფუნქციური გამოყენება;<br>• ტექსტის სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციური გამოყენება.</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| ინტერაქცია ტექსტთან (დართული კითხვარის დამუშავება).<br><br>**აქტივობა 3.** შეაჯამეთ ყველაფერი, რაზეც ისაუბრეთ და განსაზღვრეთ, სწორად მიხვდით თუ არა დღიურის დანიშნულებას და რა არის დღიურის, როგორც ტექსტის, დამახასიათე-ბელი ნიშნები. შემდეგ გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდი სახელმძღვანელოში მოცემულ ინ-ფორმაციაზე დაყრდნობით (გვ.62).<br><br>**აქტივობა 4.** გავმიჯნოთ დისპუტი და დისკუსია (იხ. სახელმძღვანელო, გვ.63-64).<br><br>**აქტივობა 5.** ჯგუფური აქტივობა. დისპუტის გამართვა საინტერესო თემაზე (ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 64).<br><br>**აქტივობა 6.** კონკურსი-თამაში: „ვისწავლოთ საკუთარი აზრის დასაბუთება“ (ინსტრუქცია იხ. სახელმძღვანელოში, გვ.64).<br><br>**აქტივობა 7.** ლექსიკის, სტილის და მართლწერ-ის საკითხებთან დაკავშირებული სავარჯიშოე-ბის შესრულება (სახელმძღვანელო, გვ.65-67). | |

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანის სიცოცხლის ფასეულობასა და ღირსებაზე, მის მიერ საკუთარი არსის შემეცნე-ბაზე შექმნილი ლიტერატურა დამეხმარება საკუთარი და სხვა ადამიანების სიცოცხლის უნიკალურობისა და ფასეულობის გააზრებაში;
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიან-თი აზრი ადამიანის სიცოცხლის ფასეულობაზე, მის ღირსებაზე, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ ისინი;
- ადამიანის სიცოცხლის ფასეულობასა და ღირსებაზე, მის მიერ საკუთარი არსის გააზრებაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ადამიანის სიცოცხლის ფასეულობაზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

## II თემა

**თემატური ერთეულის სახელწოდება: ადამიანური თანაგანცდის სილამაზე** (სახელმძღვანელოს II თავი).

**თემა: ადამიანის ყოფა-ცხოვრება, ურთიერთობა სხვა ადამიანთან. ადამიანის ემოციები, გრძნობები, განცდები.**

(თემატური ბლოკი: I თემატური ბლოკი. ადამიანი და მისი ცხოვრება.)

საათების სავარაუდო რაოდენობა — 10 საათი

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- როდის იმსჭვალება ადამიანი სხვა ადამიანის მიმართ თანაგანცდით?
- ადამიანური თანაგანცდა მხოლოდ ადამიანს უნდა მიემართებოდეს თუ სხვა ცოცხალ არსებებსაც უნდა მოიცავდეს?
- რატომ მიმართავს სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება ადამიანური თანაგანცდის, თანაგრძნობის თემას, რით არის ის მნიშვნელოვანი?

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:**

**ტექსტის ენა:** ახალი ლექსიკა.

**ტექსტის ტიპი და ჟანრი:** მხატვრული ტექსტი — ლექსად გადმოცემული ამბავი (ხალხური ბალადა), თხრობითი ტექსტი (მოთხრობა); არამხატვრული ტექსტი — სამეცნიერო სტატია, საინფორმაციო ტექსტი; მულტიმედიური ტექსტი — მხატვრული ფილმი. პრეზენტაცია.

**კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე:** ფოლკლორული ტექსტის თავისებურებანი, ხალხური რწმენა-წარმოდგენები ფოლკლორულ ტექსტში; სიუჟეტი, მხატვრული კონფლიქტი, პერსონაჟი, სტერეოტიპული წარმოდგენების გავლენა პერსონაჟის ქცევასა და დამოკიდებულებაზე სხვა პერსონაჟებთან.

**ტექსტის სტრუქტურა:** თავფურცელი, სათაური, ეპიგრაფი, ციტატა, ილუსტრაცია; ბალადის სტრუქტურა, სამეცნიერო ტექსტის თავისებურებანი.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:** დიალექტური ლექსიკა, იუმორი, იუმორისტული თხრობის ხერხები; კინოენის თავისებურებანი (ჩვენება თხრობის ნაცვლად).

**კონტექსტი:** ისტორიული კონტექსტის ასახვა ბალადის ტექსტში; სოციალური ფონი და სტერეოტიპული რწმენა-წარმოდგენები.

**მიმართებები ტექსტებს შორის:** მიმართებები ხალხური ბალადის სხვადასხვა ვარიანტებს შორის; მოთხრობა და მისი კინოვერსია.

**ტექსტის საკომუნიკაციო მახასიათებლები:** მიზანი და აუდიტორია.

**გრამატიკა:** დიალექტური ლექსიკა, ძველებური მრავლობითის შეთანხმება სხვა სიტყვებთან, ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულების გამომხატველი ზმნები, მთქმელის დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტში, სხვათა სიტყვის ნაწილაკები.

**სტრატეგიები:** მიზანმიმართული კითხვის სტრატეგია (კითხვების დასმა და პასუხების ძიება ტექსტში), კონკრეტული ტიპის ტექსტის კითხვის სტრატეგია (რა გვეხმარება ხალხური სიტყვიერების ნიმუშების უკეთ გაგებაში). წერისა და ზეპირმეტყველების სტრატეგიები.

| სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | I ეტაპის შუალედური მიზნები |
|---|---|
| იხილეთ „ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდატრტის შედეგები“, გვ. 10-15 | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:**<br>VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო<br>**II თავი: ადამიანური თანაგანცდის სილამაზე**<br>**I ეტაპი**<br>**§1. როგორ იქმნება ხალხური სიტყვიერების ნიმუშები**<br>ტექსტები:<br>„ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ — ხალხური;<br>გიორგი ჯაფარიძე, „ვეფხისა და მოყმის“ მითოსური სამყარო“;<br>შოთა არაბული, „იარებოდა დედაი“.<br>**II ეტაპი**<br>**§2. რაც მტრობას დაუნგრევია**<br>ტექსტი:<br>ნოდარ დუმბაძე, „ბოშები“. |

| ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი | ცნებ(ებ)ის საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები |
|---|---|
| ახალი ლექსიკა, ხალხური სიტყვიერების ნიმუში, საინფორმაციო ტექსტი, სამეცნიერო სტატია;<br>ხალხური სიტყვიერების ნიმუშის კითხვის სტრატეგია;<br>თავფურცელი, სათაური, ეპიგრაფი, ციტატა, ილუსტრაცია;<br>ბალადის სტრუქტურა, სამეცნიერო ტექსტის არსებითი ნიშანი;<br>ისტორიული კონტექსტი და ბალადის ტექსტი, მიმართებები ბალადის სხვადასხვა ვარიანტებს შორის;<br>დიალექტური ლექსიკა, ძველებური მრავლობითის შეთანხმება სხვა სიტყვებთან;<br>მიზანმიმართული კითხვის სტრატეგია (კითხვების დასმა და პასუხების ძიება ტექსტში), წერისა და ზეპირმეტყველების სტრატეგიები. | • რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ უკეთ გავიგო ხალხური სიტყვიერების ნიმუშები?<br>• როგორ უნდა განვასხვავო ერთმანეთისაგან ფოლკლორული და ლიტერატურული ტექსტები?<br>• როგორ უნდა გამოვარჩიო საინფორმაციო ტექსტებიდან სამეცნიერო ტექსტი?<br>• როგორ უნდა ამოვიცნო ნაწარმოების დედააზრი, მთავარი სათქმელი?<br>• როგორ მეხმარება ნაწარმოების სათაური მისი დედააზრის ამოცნობაში?<br>• რა პარამეტრების მიხედვით უნდა შევადარო ერთმანეთს ფოლკლორული ტექსტის სხვადასხვა ვარიანტები?<br>• როგორ უნდა განვასხვავო ერთმანეთისაგან კუთხური ლექსიკა და ზოგადქართული სიტყვების კუთხური გამოყენების შემთხვევები? |

| აქტივობები: | კომპლექსური დავალება/დავალებები |
|---|---|
| **აქტივობა 1.** თემის გაცნობა.<br>წაიკითხეთ თავის (თემატური ერთეულის) სათაური, წაიკითხეთ ეპიგრაფად მოყვანილი ციტატები, იმსჯელეთ, როგორ გესმით ამ ციტატების შინაარსი. გაეცანით ილუსტრაციას და თანდართულ ტექსტს. გადახედეთ თავის სარჩევს. | **დავალება 1.** წერითი ნამუშევარი.<br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 83.<br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• ტექსტებში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება; |
| **აქტივობა 2.** პარაგრაფის სათაურისა და მიზნის გაცნობა. სასტარტო აქტივობები.<br>გაეცანით პარაგრაფის სათაურსა და მიზანს. უპასუხეთ კითხვებს. | • წერილობითი ტექსტის შექმნა მოცემულ გეგმაზე დაყრდნობით;<br>• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის ცოდნის ფუნქციური გამოყენება; |
| **აქტივობა 3.** ტექსტის წაკითხვა.<br>წაიკითხეთ ტექსტი.<br>წაკითხვამდე — გაეცანით ხალხური სიტყვიერების ნიმუშების კითხვის სტრატეგიას. გამოთქვით ვარაუდები ნაწარმოების სათაურსა და ილუსტრაციებზე, კითხვის სტრატეგიის რუბრიკაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და განმარტეთ თქვენი ვარაუდები.<br>კითხვის დროს — ახალი ლექსიკის დამუშავება (მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტზე დაყრდნობით ან თანდართული ლექსიკონის გამოყენებით). ტექსტთან დაკავშირებული კითხვების დასმა.<br>წაკითხვის შემდეგ — საუბარი იმაზე, გამართლდა თუ არა წინასწარი ვარაუდები.<br>ინტერაქცია ტექსტთან (დართული კითხვარის დამუშავება). | • ტექსტის სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციური გამოყენება.<br>**დავალება 2.** კვლევა. ჯგუფური სამუშაო.<br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ.83-84.<br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ვარიანტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე;<br>• ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევის გამოვლენა;<br>• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის, აგრეთვე სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით; |
| **აქტივობა 4.** იმუშავეთ წყვილებში. ინტერტექსტი. ტექსტებს შორის კავშირის ძიება. აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილი თქმულების ტექსტისა და ბალადის ტექსტის შედარება.<br>თქმულების ტექსტი და დეტალური ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ.75. | • ზეპირმეტყველების (მოსმენისა და ზეპირი გამოსვლის) და წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება. |

<table>
<tr><td>აქტივობა 5. იმუშავეთ წყვილებში. მოიშველიეთ სამეცნიერო ტექსტი ბალადის შინაარსის უკეთ გასაგებად.<br>სამეცნიერო ტექსტი და დეტალური ინსტრუქცია იხ. სახელმძღვანელოში, გვ. 76-78.<br><br>აქტივობა 6. ტექსტის დედააზრის ამოცნობა. წაიკითხეთ დოკუმენტური მოთხრობის ტექსტი და შეეცადეთ განმარტოთ, რატომ არის ის დასათაურებული ამგვარად, ანუ რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი და როგორ უკავშირდება ის მის სათაურს.<br>იხ. სახელმძღვანელო,გვ.77-81.<br><br>აქტივობა 7. სიტყვათა კუთხური და საერთო მნიშვნელობების შედარება. იხ. გვ.81.<br>აქტივობა 8. კუთხურ ფორმებსა და ძველებური მრავლობითის ფორმებზე დაკვირვება ( სახ. გვ.82). მსჯელობა იმაზე, თუ რა თავისებურება ახსიათებს კუთხურ მეტყველებას.</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">რესურსები : VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო</td></tr>
<tr><td colspan="2">II ეტაპის შუალედური მიზნები</td></tr>
<tr><td>ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი<br>ახალი ლექსიკა;<br>მხატვრული ტექსტი —მოთხრობა;<br>არამხატვრული ტექსტი — საინფორმაციო ტექსტი; მულტიმედიური ტექსტი — მხატვრული ფილმი;<br>პერსონაჟი, სტერეოტიპული წარმოდგენების გავლენა პერსონაჟის ქცევაზე და დამოკიდებულებაზე სხვა პერსონაჟებთან;<br>დიალექტური ლექსიკა, იუმორი, იუმორისტული თხრობის ხერხები;<br>კინოენის თავისებურებანი (ჩვენება თხრობის ნაცვლად).</td><td>ცნებ(ებ)ის საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები<br>• რა შეიძლება გავაკეთო საინფორმაციო ტექსტის უკეთ გასაგებად?<br>• როგორ უნდა ამოვიცნო იუმორისტული ტექსტი?<br>• რა გავლენას ახდენს სტერეოტიპული წარმოდგენები პერსონაჟის ქცევასა და დამოკიდებულებაზე სხვა პერსონაჟების მიმართ?<br>• რა არის საჭირო სტერეოტიპული წარმოდგენებისაგან გასათავისუფლებლად?<br>• რისთვის სჭირდება მწერალს დიალექტური ლექსიკის გამოყენება ნაწარმოებში?</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| სოციალური ფონი და სტერეოტიპული რწმენა-წარმოდგენები;<br>მოთხრობა და მისი კინოვერსია. | • რამდენად და როგორ დამეხმარა მოთხრობის კინოვერსიის გაცნობა წაკითხულის უკეთ გაგებაში? |
| **ტექსტი:**<br>ნოდარ დუმბაძე, „ბოშები“. | |
| **აქტივობები:**<br>**აქტივობა 1.** პარაგრაფის სათაურისა და მიზნის გაცნობა. სასტარტო აქტივობები.<br>გაეცანით პარაგრაფის სათაურსა და მიზანს. უპასუხეთ კითხვებს. გაეცანით საინფორმაციო ტექსტს („იუმორი“).<br>**აქტივობა 2.** ტექსტის წაკითხვა.<br>წაიკითხეთ ტექსტი.<br><br>წაკითხვამდე — გაეცანით ლექსიკონს. გამოთქვით ვარაუდები ნაწარმოების სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით და განმარტეთ თქვენი ვარაუდები.<br>კითხვის დროს — ახალი ლექსიკის დამუშავება (მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტზე დაყრდნობით ან თანდართული ლექსიკონის გამოყენებით). ტექსტთან დაკავშირებული კითხვების დასმა.<br>წაკითხვის შემდეგ — საუბარი იმაზე, გამართლდა თუ არა წინასწარი ვარაუდები. ინტერაქცია ტექსტთან (დართული კითხვარის დამუშავება).<br>**აქტივობა 3.** დავაკვირდეთ იუმორისტული თხრობის ხერხებს და შედეგები წარმოვადგინოთ სქემის სახით.<br>ჯგუფური სამუშაო. ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ.96.<br>**აქტივობა 4.** წავიკითხოთ საინფორმაციო ტექსტი: „რა არის სტერეოტიპი“ და ვიმსჯელოთ, რა გავლენას ახდენს სტერეოტიპული წარმოდგენები ადამიანთა ქცევაზე. გვ.96. | **დავალება 1.** პრეზენტაცია სახელმძღვანელოში მოცემულ და ინტერნეტში მოძიებულ წყაროებზე დაყრდნობით.<br>გაეცანით სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას ბოშების შესახებ (გვ.97-98); მოიძიეთ მითითებული წყაროები ინტერნეტში (სახ. გვ.98) და მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე: „ბოშები საქართველოში“ (დეტალური ინსტრუქცია იხ. გვ.98).<br><br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• მითითებილი წყაროების მოძიება და მათში გადმოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;<br>• ზეპირი გამოსვლის მომზადება არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ამ ინფორმაციის გადმოცემა აუდიტორიისათვის გასაგებ ენაზე;<br>• პრობლემის აქტუალობისა და პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების წარმოჩენა;<br>• პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზების შემოთავაზება.<br>**დავალება 2.** წერითი დავალება: დაწერეთ იუმორისტული მოთხრობა.<br>ინსტრუქცია იხ. სახელმძღვანელოში, გვ.100-101.<br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• წერილობითი ტექსტის შექმნა მოცემულ ინსტრუქციაზე დაყრდნობით;<br>• იუმორისტული თხრობის ხერხების ფუნქციური გამოყენება;<br>• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის ცოდნის ფუნქციური გამოყენება; |

| | |
|---|---|
| **აქტივობა 5.** ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულების გამომხატველ ზმნებზე დაკვირვება.<br>ინსტრუქცია იხ. სახ.გვ.98-99, რუბრიკაში: „ლექსიკა და ფრაზეოლოგია“.<br><br>**აქტივობა 6.** სხვათა სიტყვის ნაწილაკის გამოყენების დიალექტური ფორმის ჩანაცვლება ლიტერატურული ფორმით. სახელმძღვანელო, გვ.99-100;<br><br>**აქტივობა 7.** ჩართულის ფუნქციის განმარტება მოძიებულ წინადადებებში, სახ. გვ.100;<br><br>**აქტივობა 8.** გურული კილოს ნიმუშებზე დაკვირვება, გვ.100. | • ტექსტის სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციური გამოყენება.<br><br>**დავალება 3.** მოთხრობისა და მისი კინოვერსიის შედარება. შედეგების წარმოდგენა პრეზენტაციის სახით.<br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 101.<br><br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• თხრობითი და მულტიმედიური ტექსტების შედარება მოცემულ ინსტრუქციაზე დაყრდნობით;<br>• ამ ტექსტების სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის წარმოჩენა (ფუნქციური გამოყენება) მათი ანალიზისა და მსჯელობის დროს;<br>• რეჟისორის ინტერპრეტაციის შეფასება საკუთარი დამოკიდებულების წარმოჩენა მოთხრობის კინოვერსიის მიმართ. |

**რესურსები : VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო**

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები:**

- ადამიანური თანაგრძნობისა და თანაგანცდის თემაზე შექმნილი ლიტერატურა დამეხმარება როგორც სხვა ადამიანების, ისე ყველა სულიერის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების ფასეულობის გააზრებაში;
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი აზრი ადამიანისა და ყოველი სულიერის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების აუცილებლობის თაობაზე, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ ისინი;
- ადამიანისა და ყოველი სულიერის მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების თემაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ადამიანისა და ყოველი სულიერის მიმართ ჰუმანური მოპყრობის თაობაზე, შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

## III თემა

**თემატური ერთეულის სახელწოდება: ადამიანი ცხოვრების საზრისის ძიებაში**
(სახელმძღვანელოს III თავი).

**თემა: ცხოვრების საზრისი** (ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანური პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება).

(თემატური ბლოკი: III თემატური ბლოკი. მარადიული ძიებები.)

საათების სავარაუდო რაოდენობა — 17 საათი

**თემატური საკვანძო შეკითხვები:**

- რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანისათვის იმის გააზრება, რისთვის ცხოვრობს ამ ქვეყნად, რა მიზანი აქვს მის არსებობას?
- ვის ან რას მიმართავენ ხოლმე უმეტესად ცხოვრების საზრისის ძიების დროს ადამიანები?
- რა პასუხს იძლევიან ამ კითხვაზე ქართული ლიტერატურის კლასიკოსები?

**თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები/საკითხები:**

**ტექსტის ენა:** ახალი ლექსიკა.

**ტექსტის ტიპი და ჟანრი:** მხატვრული ტექსტი — ლექსი, იგავი; ფერწერული ნამუშევარი; არამხატვრული ტექსტი —ესე, პუბლიცისტური სტატია, საინფორმაციო ტექსტი; მულტიმედიური ტექსტი — საბალეტო სპექტაკლი.

**კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე:** ესეს კომპოზიცია; ლირიკული ლექსის კომპოზიცია; იგავის კომპოზიცია.

**ტექსტის სტრუქტურა:** თავფურცელი, სათაური, ეპიგრაფი, ციტატა, ილუსტრაცია; ესეს სტრუქტურა, ლექსის სტრუქტურა, პუბლიცისტური ტექსტის სტრუქტურა.

**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:** პოეზია და არქაიზმები, მეტაფორა, ალეგორია.

**კონტექსტი:** ისტორიული რეალობის ასახვა მხატვრულ ნაწარმოებში.

**მიმართებები ტექსტებს შორის:** მიმართებები ნ. ბარათაშვილისა და ვახტანგ VI-ის ლექსებს, ილიასა და აკაკის, ასევე თანამედროვე პოეტთა ერთ თემაზე შექმნილ ლექსებს შორის; მიმართებები ბიბლიურ იგავებსა და ამ იგავთა სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ილუსტრაციებს შორის; მიმართებები ბიბლიურ იგავებს, მათ ილუსტრაციებსა და ბიბლიური იგავის მოტივებზე შექმნილ საბალეტო სპექტაკლს შორის.

**ტექსტის საკომუნიკაციო მახასიათებლები:** მიზანი და აუდიტორია.

**გრამატიკა:** არქაული ლექსიკა, ობიექტური პირის ნიშანთა მართლწერა ილიასა და აკაკის ლექსების მიხედვით, სიტყვათა უცნაური წარმოება — ტმესი, ზმნის ძველი ფორმები.

**სტრატეგიები:** მიზანმიმართული კითხვის სტრატეგია (კითხვების დასმა და პასუხების ძიება ტექსტში), წერისა და ზეპირმეტყველების სტრატეგიები.

| სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | I ეტაპის შუალედური მიზნები |
|---|---|
| იხილეთ „ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები“, გვ. 10-15 | **ძირითადი რესურსი/ტექსტი:**<br>VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო...<br>**III თავი: ადამიანი ცხოვრების საზრისის ძიებაში**<br>**I ეტაპი**<br>**§1. რატომ უნდა ვიკითხოთ კლასიკოსები?**<br>ტექსტი: ჰენრი დევიდ თორო, „კითხვა“.<br>**II ეტაპი**<br>**§2. კლასიკოსის პასუხი მარად თანამედროვე კითხვაზე**<br>ტექსტები:<br>ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას“,<br>ვახტანგ VI , „შეგონება“.<br>**III ეტაპი**<br>**§3. პოეზიის დანიშნულების შესახებ**<br>ტექსტები:<br>ილია ჭავჭავაძე, „პოეტი“, „ჩემო კალამო“, „საქართველოს მოამბეზედ“ (ნაწყვეტი);<br>აკაკი წერეთელი, „ხატის წინ“, „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ.<br>**IV ეტაპი**<br>**§4. სიბრძნის გაკვეთილები**<br>ტექსტები:<br>სახარების იგავები — „დამარხული ტალანტი“, „უძღები ძის იგავი“ |

| ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი | ცნებ(ებ)ის საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები |
|---|---|
| ახალი ლექსიკა;<br>არამხატვრული ტექსტი — ესე, საინფორმაციო ტექსტი;<br>ესეს კომპოზიცია, ესეს სტრუქტურა;<br>თავფურცელი, ციტატა, ეპიგრაფი, სათაური ილუსტრაცია;<br>მიზანი და აუდიტორია;<br>მიზანმიმართული კითხვის სტრატეგია (კითხვების დასმა და პასუხების ძიება ტექსტში),<br>წერისა და ზეპირმეტყველების სტრატეგიები. | • როგორ გამოვარჩევ ესეს სხვა ტიპის ტექსტებისაგან?<br>• როგორ უნდა განვასხვავო ერთმანეთისაგან დამარწმუნებელი და ინფორმაციული ტექსტები?<br>• როგორ უნდა ამოვიცნო „დარწმუნების ტექნიკა“?<br>• როგორ უნდა ამოვიცნო ესეს დედააზრი, მთავარი სათქმელი?<br>• როგორ მეხმარება ნაწარმოების სათაური მისი დედააზრის ამოცნობაში? |

| | |
|---|---|
| | • როგორ უნდა შევქმნა დამარწმუნებელი ტექსტი? |
| **აქტივობები:**<br><br>**აქტივობა 1.** თემის გაცნობა.<br>წაიკითხეთ თავის (თემატური ერთეულის) სათაური, წაიკითხეთ ეპიგრაფად მოყვანილი ციტატები, იმსჯელეთ, როგორ გესმით ამ ციტატების შინაარსი. გაეცანით ილუსტრაციას და თანდართულ ტექსტს. გადახედეთ თავის სარჩევს.<br><br>**აქტივობა 2.** პარაგრაფის სათაურისა და მიზნის გაცნობა. სასტარტო აქტივობები.<br>გაეცანით პარაგრაფის სათაურსა და მიზანს. უპასუხეთ კითხვებს.<br><br>**აქტივობა 3.** ტექსტის წაკითხვა.<br>წაიკითხეთ ტექსტი.<br>წაკითხვამდე — გაეცანით ლექსიკონს. გამოთქვით ვარაუდები ნაწარმოების სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით.<br>კითხვის დროს — ახალი ლექსიკის დამუშავება (მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტზე დაყრდნობით ან თანდართული ლექსიკონის გამოყენებით). ტექსტთან დაკავშირებული კითხვების დასმა.<br>წაკითხვის შემდეგ — საუბარი იმაზე, გამართლდა თუ არა წინასწარი ვარაუდები. ინტერაქცია ტექსტთან (დართული კითხვარის დამუშავება).<br><br>**აქტივობა 4.** იმუშავეთ წყვილებში. წაიკითხეთ საინფორმაციო ტექსტი „რა არის ესე?“ და შეასრულეთ მოცემული დავალება ( იხ. სახელ. გვ.108).<br><br>**აქტივობა 5.** წაიკითხეთ რუბრიკა: „ეს საინტერესოა“ და განმარტეთ კლასიკა და კლასიკოსები (გვ.109). | **კომპლექსური დავალება/დავალებები**<br><br>**დავალება 1.** წერითი ნამუშევარი. დაწერეთ ესე.<br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ. 110.<br><br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• წერილობითი ტექსტის შექმნა მოცემულ ინსტრუქციაზე დაყრდნობით;<br>• წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება;<br>• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის ცოდნის ფუნქციური გამოყენება;<br>• ტექსტის სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციური გამოყენება.<br><br>**დავალება 2.** წერითი ნამუშევარი.<br>დავალების ინსტრუქცია იხილეთ სახელმძღვანელოში, გვ.110.<br><br>**შეფასების კრიტერიუმები.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• წერილობითი ტექსტის შექმნა მოცემულ ინსტრუქციაზე დაყრდნობით;<br>• წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და გამოყენება;<br>• ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის ცოდნის ფუნქციური გამოყენება;<br>• ტექსტის სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციური გამოყენება. |

**ტექსტი:** ჰენრი დევიდ თორო, „კითხვა“.

## II ეტაპის შუალედური მიზნები

**ქვეცნება/ქვეცნებები, საკითხ(ებ)ი**

ახალი ლექსიკა;

მხატვრული ტექსტი —ლექსი;

არამხატვრული ტექსტი — საინფორმაციო ტექსტი;

ლირიკული ლექსის კომპოზიცია: ლირიკული დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა;

რატომ იცვლება ზმნის დრო?

პოეზია და არქაიზმები;

მიზანმიმართული კითხვის სტრატეგია (კითხვების დასმა და პასუხების ძიება ტექსტში), წერისა და ზეპირმეტყველების სტრატეგიები.

**ცნებ(ებ)ის საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**

- რა შეიძლება გავაკეთო პოეტური ტექსტის უკეთ გასაგებად?
- როგორ უნდა ამოვიცნო ლექსის კომპოზიციაში თემის ლოგიკური განვითარება?
- რა უნდა გავითვალისწინო ორი პოეტური ნაწარმოების შედარებისას?
- რისთვის სჭირდება პოეზიის ენას არქაიზმები?
- რამდენად და როგორ დამეხმარა ცალკეული ტაეპების პარაფრაზი წაკითხულის უკეთ გაგებაში?

**ტექსტები:**

ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას“,

ვახტანგ VI , „შეგონება“.

**აქტივობები:**

**აქტივობა 1.** პარაგრაფის სათაურისა და მიზნის გაცნობა. სასტარტო აქტივობები.

გაეცანით პარაგრაფის სათაურსა და მიზანს. უპასუხეთ კითხვებს.

**აქტივობა 2.** ტექსტის წაკითხვა.

წაიკითხეთ ტექსტი.

